პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 37-ე წელი | № 267 (10661) | პარასკევი, 16 ნოემბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

## დასავლეთ ევროპის მშრომელები წინააღმდეგობას უწევენ რეაქციისა და ფაშიზმის ხრიკებს

გუშინ „პრავდაში" გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეპეშა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი. ამ დეპეშაში ნათქვამია:

„გამოვთქვამთ საბჭოთა კავშირის კომუნისტების ძმურ სოლიდარობას ჩვენი ამხანაგებისადმი — ფრანგი კომუნისტებისადმი მათს ბრძოლაში ფაშისტ დამრბევთა პროვოკაციული გამოხდომების წინააღმდეგ.

საბჭოთა ადამიანები აღტაცებული არიან საფრანგეთის კომუნისტების, მუშათა კლასისა და ყველა მოწინავე ადამიანის სიმამაცითა და სიმტკიცით, რომლებიც ღირსეულ წინააღმდეგობას უწევენ დემოკრატიისა და ფრანგი ხალხის თავისუფლების მტრებს და ამით დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მშვიდობისა და სოციალიზმის დაცვის საერთო საქმეში.

გამოვთქვამთ ჩვენს მტკიცე რწმენას, რომ საფრანგეთის კომუნისტების, სოციალისტებისა და ყველა დემოკრატის ერთიანი მოქმედება გზას გადაუღობავს რეაქციისა და ფაშიზმის ძალებს".

ახლა, როდესაც მშვიდობისმოყვარე ძალები, რომლებსაც მეთაურობენ საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და სხვა სოციალისტური ქვეყნები, მტკიცედ იბრძვიან საერთაშორისო ვითარების დაძაბულობის შენელებისათვის, თავი წამოჰყვეს და გააქტიურდნენ აგრესიული, რეაქციული ძალები.

სოციალისტური ქვეყნების წარმატებებით და აღმოსავლეთის ხალხთა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის უმაგალითო გაქანებით გაცოფებული იმპერიალისტური წრეები სახავენ ვერაგულ გეგმებს, ცდილობენ შეაფერხონ მსოფლიოს ხალხთა დიადი წინსვლა თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისაკენ, მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლისაკენ.

აგრესია თავისუფლებისმოყვარე ეგვიპტელი ხალხის წინააღმდეგ, რაც ინგლისელმა და ფრანგმა მილიტარისტებმა და მათმა ისრაელმა დამქაშებმა გააჩაღეს, იმის ცდაა, რომ გამოიყენონ ტერორი და დააშინონ მთელი არაბული აღმოსავლეთის ხალხები, რომლებსაც მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაიცვან თავიანთი თავისუფლება და ეროვნული დამოუკიდებლობა.

როგორც ჩვეულებრივ, მილიტარისტული აგრესიული ძალების აქტივიზაცია კოორდინირებულია რეაქციის შეტევასთან ხალხების დემოკრატიულ უფლებათა და თავისუფლებათა წინააღმდეგ.

შემთხვევითი როდია დასავლეთ გერმანიის ხელისუფალთა სამარცხვინო გადაწყვეტილება გერმანიის კომუნისტური პარტიის აკრძალვის შესახებ. ფაქტები ცხადყოფენ, რომ დასავლეთ გერმანიის რეაქციული წრეები იმავე მიმართულებით მიდიან, რომლითაც მოვლენები ვითარდებოდა გერმანიაში ფაშისტური რეჟიმის დამყარების წინ.

ფაშიზმი და ომის მზადება განუყოფელია. საერთაშორისო საზოგადოებრიობა ითვალისწინებს კაპიტალის ქვეყნებში რეაქციული ძალების ახალი შეტევის ფაქტების ნამდვილ მნიშვნელობას.

რეაქცია აქტიურდება როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისე აგრესიული ატლანტიკის ბლოკის სხვა ქვეყნებში. ეგვიპტის წინააღმდეგ ინგლის-საფრანგეთის აგრესიის დაწყებას მოჰყვა ფაშისტ დამრბევთა პროვოკაციული გამოხდომები საფრანგეთსა და იტალიაში. პარიზში თავს დაესხნენ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და გაზეთ „ლუმანიტეს" შენობებს. უკიდურესი რეაქციის წარმომადგენლები საფრანგეთის პარლამენტში იქამდე მივიდნენ, რომ კომუნისტური პარტიის აკრძალვა მოითხოვეს.

ფაშისტი ვაჟბატონები ცდილობდნენ მოეხდინათ იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანოების დარბევა.

მმართველი რეაქციული წრეები დასავლეთ ევროპაში ცდილობენ ანტიკომუნისტური ისტერიის გასაღვივებლად გამოიყენონ უნგრეთის ამასწინანდელი ამბებიც. უნგრეთში კონტრრევოლუციონერთა გამოხდომების ჩაშლა, რომლებსაც ხელს უწყობდნენ იმპერიალისტური სახელმწიფოების მმართველი წრეები, გაცოფებას იწვევს ამ წრეებში. რეაქციული პროპაგანდა მძვინვარებს, იგი ყოველნაირად აყალბებს ფაქტებს, ამახინჯებს ნამდვილ მდგომარეობას უნგრეთში, ანტიკომუნიზმის შხამით წამლავს ცუდად ინფორმირებულ და გულუბრყვილო ადამიანებს.

ანტიკომუნისტურ ისტერიას რომ აღვივებს, რეაქცია მიზნად ისახავს პირველ რიგში ლახვარი ჩასცეს მუშათა კლასის ავანგარდს — კომუნისტურ პარტიებს, რომლებიც ერთგულად და თანმიმდევრულად იცავენ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმეს.

მაგრამ რეაქციის ვერაგული გეგმები იფუშება. მიუხედავად აკრძალვისა, გმირულ ბრძოლას განაგრძობს გერმანიის კომუნისტური პარტია.

საბჭოთა ადამიანები, მსოფლიო საზოგადოებრიობა აღტაცებული არიან საფრანგეთის კომუნისტების, მუშათა კლასის სიმამაცითა და სიმტკიცით რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში. იტალიისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტები საკადრის წინააღმდეგობას უწევენ დემოკრატიისა და თავისუფლების მტრებს.

ამხილებს რა რეაქციული ბურჟუაზიული პრესის ცილისმწამებლურ კამპანიას და ანტიკომუნისტურ რეპრესიებს კაპიტალისტურ ქვეყნებში, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „ჟენმინჟიბაო" წერს: „კომუნისტურმა პარტიებმა დასავლეთ ევროპაში უკან როდი დაიხიეს ამ დროებითი სიძნელის გამო. მათ გაბედულად თქვეს სიმართლე, გამოიჩინეს ინტერნაციონალიზმის მამაცური სულისკვეთება. ამის შედეგად მათ გააფთრებით დაესხნენ თავს რეაქციონერები... მათთვის ეს დამარცხება კი არა, ღირსებაა. ჩვენ მხურვალე კომუნისტურ სალამს ვუძღვნით მათ".

საფრანგეთის, იტალიისა და სხვა ქვეყნების კომუნისტები და ყველა მოწინავე ადამიანი წინააღმდეგობას უწევენ ფაშისტური რეაქციის პროვოკაციულ გამოხდომებს და დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მშვიდობისა და სოციალიზმის დაცვის საერთო საქმეში.

რეაქცია მიმართავს უაღრესად ვერაგულ მეთოდებს და ამით ცდილობს არევდარევა შეიტანოს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის რიგებში. მაგრამ ამას იგი ვერ შეძლებს. ვერც ყალბი პროპაგანდა, ვერც რეპრესიები, ვერც ტერორი ვერ შეაჩერებს ხალხთა ბრძოლას მშვიდობისა და სოციალიზმის საქმისათვის. კომუნისტური პარტიები ამ კეთილშობილური ბრძოლის ავანგარდში იყვნენ და არიან. თავიანთი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები, კომუნისტები ერთგულად იცავენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და მშრომელთა საერთაშორისო ძმური სოლიდარობის პრინციპებს. მათ შეგნებული აქვთ, რომ ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, საჭიროა კომუნისტებისა და სოციალისტების, მთელი დემოკრატიული ძალების დარაზმვა და ერთიანობა იმისათვის, რომ გზა გადაუღობონ რეაქციასა და ფაშიზმს.

ფაშისტ დამრბევთა პროვოკაციული გამოხდომები დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მოწმობენ რეაქციის არა ძალას, არამედ სისუსტეს, მოწმობენ იმ საქმის განწირულობას, რომელსაც რეაქციონერები ემსახურებიან.

ამავე დროს რეაქციის ხრიკების გამო მშვიდობისა და სოციალიზმის საქმისათვის ყველა მებრძოლი მოვალეა აძლიერებდეს თავის სიფხიზლეს, განამტკიცებდეს თავის რიგებს.

რაც უნდა ცოფებსა ყრიდნენ თავისუფლებისა და დემოკრატიის მტრები, ისინი ვერ მოატყუებენ და ვერ შეაშინებენ ხალხებს.

მთელი პროგრესული, დემოკრატიული ძალების ერთიანი მოქმედება გზას გადაუღობავს რეაქციისა და ფაშიზმის ძალებს.

„პრავდის" 15-XI მოწინავე.

## ნ. ს. ხრუშჩოვმა, კ. ე. ვოროშილოვმა, ნ. ა. ბულგანინმა მიიღეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

15 ნოემბერს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვლადისლავ გომულკამ (დელეგაციის მეთაური), პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ალექსანდრე ზავადსკიმ, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ იუზეფ ცირანკევიჩმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიური დაგეგმვის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარემ სტეფან ენდრიხოვსკიმ ვიზიტი გაუკეთეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ნ. ს. ხრუშჩოვს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ა. ბულგანინს.

დარბაზობას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ს. პატოლიჩევი და სსრ კავშირის ელჩი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში პ. კ. პონომარენკო.

## გორისა და ამბროლაურის რაიონებმა შეასრულეს ყურძნის დამზადების გეგმა

გორისა და ამბროლაურის რაიონების კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს ყურძნის დამზადების გეგმა. (საქდესი).

## მოსკოვს ჩამოვიდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

ძმური, გულითადი იყო შეხვედრა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციასთან, რომელიც 15 ნოემბერს ჩამოვიდა მოსკოვში.

... ოდნავ ყინავს. ქარი არხევს პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ალმებს, რომლებიც გამოფენილია ბელორუსიის ვაგზლის ბაქანზე მეგობარი პოლონელი სტუმრების პატივსაცემად. ბაქნის მთელ სიგანეზე გაჭიმულია წითელი ქსოვილი, რომელზეც წარწერილია საბჭოთა ადამიანების გულის სიღრმიდან ამომავალი სიტყვები: „გაუმარჯოს პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ ძმურ მეგობრობას!"

მატარებლის მოსვლას ოც წუთზე მეტი უკლია, მაგრამ ბაქანი უკვე სავსეა ხალხით. აქ არიან საბჭოთა და პოლონელი ჟურნალისტები, უცხოეთის გაზეთებისა და სააგენტოების მოსკოველი კორესპონდენტები. ეს ბუნებრივია! პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის ჩამოსვლა სსრ კავშირში დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენაა, რომელიც ფართო საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენს. ბაქანზე სულ უფრო მეტი ხალხი იყრის თავს. აქ არიან მოსკოვის რაიონების მშრომელთა წარმომადგენელნი, სსრ კავშირის მინისტრები, საბჭოთა კავშირის მარშლები და სხვა ოფიციალური პირები.

ვაგზალში შეკრებილნი გულთბილად ხვდებიან პოლონელი სტუმრების შესახვედრად მოსულ ამხანაგებს ნ. ა. ბულგანინს, კ. ე. ვოროშილოვს, მ. ზ. საბუროვს, ნ. ს. ხრუშჩოვს.

გამოჩნდა სპეციალური მატარებელი, რომლითაც მოდიან პოლონეთის ხელმძღვანელი მოღვაწეები. უკრავს მუსიკა. მატარებელი ჩერდება, და ვაგონიდან გამოდიან პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვლადისლავ გომულკა (დელეგაციის მეთაური), პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები — სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე ზავადსკი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იუზეფ ცირანკევიჩი და ეკონომიური დაგეგმვის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე სტეფან ენდრიხოვსკი, აგრეთვე ფინანსთა მინისტრის მოადგილე და პოლონეთის ეროვნული ბანკის დირექტორი ვიტოლდ ტრომპჩინსკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ევგენი შირი და სხვები.

ვაგონიდან გამოდიან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ს. პატოლიჩევი, რომელიც პოლონეთის დელეგაციას შეხვდა ბრესტში, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პოლონეთში პ. კ. პონომარენკო, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ი. ზანაკი.

ნ. ს. ხრუშჩოვი მხურვალედ ართმევს ხელს ვლადისლავ გომულკას, ალექსანდრე ზავადსკის, იუზეფ ცირანკევიჩს, სტეფან ენდრიხოვსკისა და სხვა პირებს. სტუმრებს ხელს ართმევენ ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი და მ. ზ. საბუროვი. პოლონელ სტუმრებს მიართმევს ყვავილების დიდი თაიგულები.

ჩამწკრივებულია საპატიო ყარაული. პოლონეთის დელეგაციის მეთაურთან ამხანაგ ვ. გომულკასთან გამოკვეთილი ნაბიჯით მიდის საპატიო ყარაულის უფროსი მაიორი სლავინი და აძლევს პატაკს:

— ამხანაგო პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მეთაურო, ამხანაგო გომულკა!

საპატიო ყარაული დელეგაციის ჩამოსვლის პატივსაცემად ჩამწკრივებულია.

ამხანაგი ვ. გომულკა მიესალმა საპატიო ყარაულს. პასუხად გაისმის მძლავრი „ვაშა!"

ამხანაგებმა ვ. გომულკამ და ნ. ს. ხრუშჩოვმა ჩამოუარეს საპატიო ყარაულის მწყობრს, შემდეგ ამხ. გომულკა მიესალმა სსრ კავშირის მინისტრებს, საელჩოების მეთაურებს, რომლებიც მოვიდნენ პოლონეთის დელეგაციის შესახვედრად, და პოლონეთის საელჩოს თანამშრომლებს.

პოლონეთის დელეგაციის მეთაური ვ. გომულკა მივიდა მიკროფონთან და წარმოთქვა სიტყვა.

### ამხ. ვ. გომულკას სიტყვა

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის სახელით გულითადად მივესალმები მოსკოვის მცხოვრებლებს დიდი საბჭოთა კავშირის სახელოვან დედაქალაქში.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობამ და პოლონეთის მთავრობამ დაგვავალა ჩვენ განვაგრძოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობასთან და საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკება, რომელიც გასულ თვეში დაიწყო ვარშავაში, როგორც მოლაპარაკება პარტიებს შორის.

საბჭოთა კავშირის ხალხებთან ძმური მეზობლური თანამშრომლობის სულისკვეთებით გამსჭვალული ჩვენი პარტია და პოლონელი ხალხი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ამ მოლაპარაკებას და მის პოლიტიკურ და ეკონომიურ შედეგებს. ჩვენი ქვეყნისათვის, რომლის საზღვრების მთლიანობას და უშიშროებას ოდერსა და ლუჟიცის ნაისზე ყველაზე უკეთ და ყველაზე მტკიცედ უზრუნველყოფს საერთო ბრძოლაში გამოჭედილი და ჰიტლერელი დამპყრობლების წინააღმდეგ ომში ერთად დაღვრილი სისხლით განმტკიცებული პოლონეთისა და საბჭოთა ქვეყნის კავშირი, არა არის რა უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ძმური, მეგობრული და მოკავშირული ურთიერთობა თავის აღმოსავლეთელ მეზობელთან — დიდ საბჭოთა კავშირთან.

ასეთი ურთიერთობის ყველაზე მტკიცე საფუძველია მცირე და დიდი ერების თანასწორუფლებიანობის ლენინური პრინციპები, სუვერენიტეტისა და ეროვნული დამოუკიდებლობის ურთიერთპატივისცემა, აგრეთვე თანამშრომლობა, რომელიც ემყარება ურთიერთსარგებლობას.

ამიტომ ჩვენ დიდი კმაყოფილებით მივიღეთ სსრ კავშირის მთავრობის 1956 წლის 30 ოქტომბრის დეკლარაცია „საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებისა და შემდგომი განმტკიცების საფუძვლების შესახებ".

ჩვენ გვწამს, რომ ჩვენი მოლაპარაკების შედეგები განამტკიცებენ და გააღრმავებენ მეგობრობის, კავშირისა და თანამშრომლობის ურთიერთობას, რომელიც პოლონეთს აკავშირებს საბჭოთა კავშირთან, ხელს შეუწყობენ სოციალისტური სახელმწიფოების ბანაკის დარაზმულობისა და ძალის განმტკიცებას, სამსახურს გაუწევენ მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა და ხალხთა თანაარსებობის საქმეს, რომლებიც ვითარდებიან მსოფლიოს ყველა ხალხის ცხოვრებიდან ომების გამორიცხვის გზით.

სალამი მოსკოვის მცხოვრებლებს!

სალამი, ძმური სალამი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს!

ბოლო სიტყვები ვ. გომულკამ რუსულ ენაზე წარმოთქვა. დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ამ სიტყვებს.

* * *

... ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი და პოლონელი სტუმრები გამოვიდნენ მოედანზე, რომელიც ვაგზალს აკრავს, სადაც შეიკრიბა მრავალი ასეული ადამიანი. შემხვედრნი და სტუმრები ჩასხდნენ მანქანებში და წავიდნენ გორკის ქუჩით, სადაც აგრეთვე ბევრი ხალხია. ქუჩაში მოჩანს პოლონეთისა და სსრ კავშირის ალმები, ტრანსპარანტები სიტყვებით, რომლებიც გამარჯვებას უსურვებენ პოლონელი და საბჭოთა ხალხების ურღვევ ძმურ მეგობრობას. (საქდესი).

## გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიას" იუბილე

სოხუმი, 14 ნოემბერი. (საქდესი). აფხაზეთის საზოგადოებრიობამ აღნიშნა გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიას" [illegible] ნომრის გამოსვლა.

სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა [illegible] საზეიმო კრება.

მოხსენება გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიას" განვლილი გზის შესახებ, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1921 წლის 22 თებერვალს, გააკეთა გაზეთის რედაქტორმა გ. სემიონოვმა. მან ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ რაზმავს გაზეთი მშრომელებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის აღმავლობისათვის საბრძოლველად.

იუბილარს მიესალმნენ პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ა. ოტირბა, გაზეთ „ბათუმსკი რაბოჩის" რედაქტორის მოადგილე ი. პასკო, სამხრეთ ოსეთის საოლქო გაზეთის „კომუნისტის" რედაქტორი ს. ჯიოევი, პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი ხ. ჟღალაია, საკონდიტრო ფაბრიკის მუშა ვ. მუშბა, უხუცესი პოლიგრაფისტი, რომელმაც აწყო „სოვეტსკაია აბხაზიას" პირველი ნომერი, ამჟამად პენსიონერი ვ. კოლტუხოვი და სხვები.

კრებაზე გამოქვეყნდა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიას" რედაქციის მთელ რიგ მუშაკთა და პოლიგრაფისტთა საპატიო სიგელებით დაჯილდოების შესახებ.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

## საქართველოდან გაემგზავრა ბერძენ ქალთა დელეგაცია

საქართველოში სამ დღეს იყო სტუმრად ბერძენ ქალთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა საბერძნეთის პარლამენტის დეპუტატი ვასო ტანასეკუ. დელეგაცია სსრ კავშირში ჩამოვიდა საბჭოთა ქალების კომიტეტის მოწვევით.

ბერძენ ქალთა წარმომადგენლები თბილისში გაეცნენ ქალაქის ახალშენებებს, კულტურულ, სამედიცინო და საბავშვო დაწესებულებათა მუშაობას, იყვნენ მუშათა ბინებში. უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში ისინი ესაუბრნენ საქართველოს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს.

დელეგაციის წევრები იყვნენ აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში. ისინი იქ, კერძოდ, დაინტერესდნენ იმით, თუ როგორ არის მოწყობილი მშრომელთა დასვენება კურორტ გაგრის ჯანმრთელობის კერებში.

15 ნოემბერს ბერძენ ქალთა დელეგაცია სოხუმიდან მოსკოვში გაემგზავრა. (საქდესი).

მოწინავეთა გამოცდილება—მასებს

## როგორ ვაღწევთ მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებას

ჩვენს კოლმეურნეობაში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებას და პროდუქტიულობის ზრდას წინათ საკმაო ყურადღება არ ექცეოდა. პირუტყვისათვის შექმნილი არ გვქონდა მტკიცე საკვები ბაზა, ბაგური კვების დროს პროდუქტიულ პირუტყვს მხოლოდ ნამჯითა და ჩალით ვკვებავდით, რაციონებს წინასწარ არ ვადგენდით. პირუტყვის ნაწილი მოთავსებული იყო დაქირავებულ ბინებში. ასე იყო მეცხოველეობის განვითარების საქმე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებამდე.

სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს ახლა. მაგალითად, თუ ჩვენს კოლმეურნეობას 1953 წლის 1 ოქტომბრისათვის 400 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი ჰყავდა, მათ შორის 80 ძროხა, 1956 წლის 1 ოქტომბრისათვის ჰყავდა უკვე 800 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მათ შორის 220 ძროხა. ამ ხნის განმავლობაში ცხრაჯერ და მეტად გავზარდეთ ცხვრის სულადობა, ხოლო ღორისა ოთხჯერ და უფრო მეტად. თუ 1953 წლის 1 ოქტომბრისათვის ერთ საფურაჟე ძროხაზე მივიღეთ 326 კილოგრამი რძე, 1956 წელს მივიღეთ 1.160 კილოგრამი, 834 კილოგრამით მეტი, ვიდრე 1953 წელს. ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ოთხჯერ და უფრო მეტად გავზარდეთ აგრეთვე ერთი სული ცხვრის ნაპარსი. მაგალითად, 1953 წლის 1 ოქტომბრისათვის ერთ სულ ცხვარზე მივიღეთ 750 გრამი მატყლი, წელს კი — 4 კილოგრამი ნახევრადნაზი მატყლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2,7 კილოგრამისა. ამ წარმატებებს კოლმეურნეობის წევრებმა პირუტყვის საუკეთესო მოვლა-პატრონობის შედეგად მიაღწიეს.

გასულ წელს შევქმენით მტკიცე საკვები ბაზა. დავამზადეთ 700 ტონა ხარისხოვანი თივა, 1.200 ტონა ჩალა და ნამჯა, 710 ტონა სილოსი, 100 ტონა კონცენტრირებული საკვები, 127 ტონა საკვები ჭარხალი, რამაც გადაწყვიტა პირუტყვის მოვლისა და მისი პროდუქტიულობის ზრდის ბედი გასულ ზამთარში. წელს გაცილებით მეტი საკვები დავამზადეთ, ვიდრე გასულ ზამთარში, რაც საშუალებას იძლევა საუკეთესოდ გამოვაზამთროთ პირუტყვი და საკვების ნაწილი კიდევაც გავყიდოთ.

კოლმეურნეობამ ნაყოფიერად იმუშავა აგრეთვე პირუტყვის ბინების მშენებლობის საქმეში. მოკლე დროში ავაშენეთ და საექსპლოატაციოდ გადავეცით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის კეთილმოწყობილი ბინა, ავაშენეთ საღორე 300 სულისათვის და ფარეხი 3.000 სული ცხვრისათვის. საზამთრო საძოვრებზე ყიზლარში ავაგეთ მწყემსების საცხოვრებელი სახლი, რამაც მკვეთრად გააუმჯობესა მწყემსების საყოფაცხოვრებო პირობები ზამთრის პერიოდში.



მ. ტუშური

ჩვენ არ დაგვიწყებია 1954 წლის ზამთრის მწარე გაკვეთილები. ამიტომ ჩვენი რაიონის სხვა კოლმეურნეობებთან ერთად შევუდექით ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე ცხვრის გამოზამთრებისათვის საკვების საკმაო რაოდენობით დამზადებას. დამზადებული გვაქვს ასეულობით ცენტნერი ხარისხოვანი თივა, რაც მთლიანად უზრუნველყოფს კოლმეურნეობის ცხვრის ნორმალურ გამოზამთრებას.

კოლმეურნეობის გამგეობას და პირველადს პარტიულ ორგანიზაციას კარგად ესმით, რომ მეცხოველეობის სულადობის ზრდისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების საქმეში მთავარ როლს ასრულებენ ადამიანები. ამიტომ კოლმეურნეობის გამგეობამ პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად დროულად გადასინჯა მეცხოველეობის ფერმის მუშაკების შემადგენლობა და განამტკიცა იგი ერთგული და მცოდნე ადამიანებით. მაგალითად, კოლმეურნე დარო კობაიძე, რომელიც 10 წელზე მეტია მწველავად მუშაობს, კარგად უვლის მოხავლეულად მიჩენილ ძროხებს. იგი სისტემატურად ეცნობა მოწინავეთა მდიდარ გამოცდილებას მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებაში, სწავლობს ზოოტექნიკური მეცნიერების მიღწევებს, ყოველდღიურად იყენებს თავის საქმიანობაში სპეციალისტთა რჩევა-დარიგებას. მისთვის მოხავლეულად მიჩენილ 13 ძროხას მუდამ ატყვია მზრუნველი ხელი. კობაიძე ზუსტად იცავს ძროხების კვების რაციონს. წვნიან და უხეშ საკვებთან ერთად საკმაო რაოდენობით აძლევს კონცენტრირებულ საკვებსაც. ძროხებს იგი წველის დღეში ორჯერ, წველის წინ ძროხებს ცურს ბანს თბილი წყლით, უკეთებს მასაჟს და შემდეგ უმშრალებს ტილოთი. ბეჯითი და მუყაითი შრომა საუკეთესო შედეგებსაც იძლევა. დ. კობაიძემ გასულ სამეურნეო წელს ადგილობრივი ჯიშის თვითეულ ძროხაზე 1.400 კილოგრამი რძე მიიღო, გეგმა კი 750 კილოგრამს ითვალისწინებდა. ამასთან მოწინავე მწველავმა 13 ძროხიდან მიღებული ხბო მთლიანად შეინარჩუნა.

კობაიძეს პირუტყვის მოვლის თავისი მეთოდი აქვს შემუშავებული. კარგად აქვს შესწავლილი მოხავლეულად მიჩენილი ძროხების ხასიათი. იცის, რომელი ძროხა რა საკვებს უფრო მადიანად ჭამს. ამიტომ რაციონის შედგენისას დარო თავის წინადადებებს აყენებს ზოოტექნიკოსის წინაშე. ზოოტექნიკოსი ითვალისწინებს წარჩინებული მწველავის საქმიან წინადადებას რაციონის შედგენის დროს, რაც კიდევ უფრო ზრდის ძროხების პროდუქტიულობას. იგი ძროხებს დღეღამის განმავლობაში საკვებად აძლევს 8 კილოგრამ კარგი ხარისხის თივას, 2 კილოგრამ ქატოს ან კოპტონს, 8 კილოგრამ საკვებ ჭარხალს, 10 კილოგრამ სილოსს, იცავს აგრეთვე შინა განაწესს. ზამთარში ძროხების ბაგური კვების პერიოდში დილის 6 საათიდან 7 საათამდე ძროხებს წველის, 7 საათიდან 8 საათამდე აძლევს საჭმელს, 8 საათიდან 9 საათამდე ასუფთავებს ბინას, 9 საათიდან 11 საათამდე ამზადებს საკვებს და მეორედ კვებავს ძროხებს, საღამოს 4 საათამდე ისვენებს. 4 საათიდან 6 საათამდე კარგ ამინდში ძროხები ჰაერზე გაჰყავს, 6 საათიდან 8 საათამდე ძროხებს მეორედ წველის, ხოლო 8 საათიდან მესამედ კვებავს.

კობაიძემ გამოცდილებით იცის, რომ ხბოს მოგებამდე ძროხების წველის შეწყვეტა 55 დღით ადრე კარგ შედეგს იძლევა, ამიტომ მტკიცედ იცავს ამ წესს. მაკე ძროხებს, რომლებმაც მალე უნდა მოიგონ, ყოველთვის საუკეთესო საკვებს ურჩევს, ხბოს მოგებამდე 10-15 დღით ადრე ძროხა გადაჰყავს სამშობიარო განყოფილებაში, სადაც დანიშნულია სპეციალური მეთვალყურეობა. ხბოს მოგებამდე რამდენიმე დღით ადრე ძროხების ჰაერზე გაყვანას წყვეტს, თუ ამ პერიოდში ძროხას ცური ძლიერ სავსე აქვს, აწარმოებს მის გამოწველას, რომ ცური არ დაუჩირქდეს. მოგებისთანავე ხბო სპეციალურ სადგომში გადაჰყავს და ხელოვნურად კვებავს. ძროხას კი მშობიარობის ნახევარი საათის გასვლის შემდეგ ნახევარ ვედრო თბილ წყალსა და საუკეთესო ხარისხის თივას აძლევს. წველის სიხშირეს მოგების პირველ დღეებში აწესებს რძის მეტნაკლებობისა და ცურის სიდიდის მიხედვით.

დარო ძროხას წველის წყნარად, მაგრამ სწრაფად, თანაბრად და ფრთხილად. ხბოს მოგებიდან 4-5 დღის შემდეგ ძროხის კვებას თანდათან აძლიერებს, 10-12 დღის შემდეგ კი სრულ ნორმაზე გადაჰყავს. კობაიძე მიღწეულით არ კმაყოფილდება. მას ვალდებულება აქვს აღებული მეცხოველეობაში ახალ სამეურნეო წელს ერთი ადგილობრივი ჯიშის ძროხაზე მიიღოს 1.500 კილოგრამზე მეტი რძე. იგი დიდ დახმარებას უწევს ახალგაზრდა კადრებს, რომლებსაც პირუტყვის მოვლის საკმაო გამოცდილება არა აქვთ. მისი მეთოდის ფართოდ გამოყენების შედეგად სერიოზული წარმატება მოიპოვეს მწველავებმა ბარბარე და საბელა სომხიაშვილებმა, სონია კოტოშაშვილმა.

ჩვენ ყოველწლიურად ვასრულებთ ღორის სულადობის ზრდის გეგმას. ახლა გასასუქებლად დაყენებულია 30 ღორი. კრასნოდარელთა ძვირფასი გამოცდილების დანერგვით განზრახული გვაქვს მოვაწყოთ ავტოსაკვებურები და ავტოსარწყულებლები.

კოლმეურნეობამ მეცხოველეობაში ახალი სამეურნეო წელი კარგად დაიწყო. სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით ყოველმხრივ მოვემზადეთ პირუტყვის ნორმალური გამოზამთრებისათვის. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე დავამზადეთ 5 ტონა სილოსი. კოლმეურნეთა პირობაა ახალ სამეურნეო წელს 220 ძროხიდან თვითეულზე მიიღონ 1.500 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 750 კილოგრამისა.

**მიხეილ ტუშური,**
თიანეთის რაიონის სოფელ საყდრიონის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პარტიული ცხოვრება

# სრულად გამოვიყენოთ საკოლმეურნეო წარმოების რეზერვები

გეგეჭკორის რაიონის კოლმეურნეობების უმეტესობა მთის ზონაშია. აქ მოჰყავთ ჩაი, ტუნგო, სიმინდი, განვითარებულია მეცხოველეობა, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების გადაწყვეტილებების შემდეგ სულ უფრო შემოსავლიანი დარგი ხდება. დაბა გეგეჭკორში წინათ ორი კოლმეურნეობა იყო, ორივე ჩამორჩებოდა. პარტიის რაიკომმა ურჩია ორივე სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებს გაერთიანებულიყვნენ და საერთო ძალით გამოესწორებინათ ნაკლოვანებანი.

კოლმეურნეებმა რჩევა მოიწონეს. გამსხვილებულ კოლმეურნეობას დიდი ლენინის სახელი უწოდეს. ეს იყო მიმდინარე წლის თებერვალში. კოლმეურნეობების გამსხვილებამ კარგი შედეგი გამოიღო. გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია, გაძლიერდა კოლმეურნეთა აქტივობა. ახლა ლენინის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში. მას სათავეში უდგას უნარიანი მუშაკი, საკოლმეურნეო შრომის კარგი ორგანიზატორი ქ. სულავა.

ამ დღეებში გაიმართა ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება. უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო მოხსენება ნაკლებ შინაარსიანი და არასაინტერესო იყო. მომხსენებელი — პარტბიუროს მდივანი შ. ელიავა დაკმაყოფილდა ცალკეული სამეურნეო ხასიათის ცნობებით, რომლებიც კრებაზე დამსწრე კომუნისტებისათვის დიდი ხანია ცნობილი იყო. მას არაფერი უთქვამს პარტბიუროს მუშაობის შესახებ, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობაზე, პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული დიდი ამოცანების გადასაწყვეტად კომუნისტების ბრძოლაზე. შ. ელიავა შემოიფარგლა ზოგადი კრიტიკული შენიშვნებით და არ გამოაშ-

### პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებები

კარავა პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი.

ამიტომ საანგარიშო მოხსენებას დიდი ინტერესი არ გამოუწვევია. მაგრამ ის, რაც მომხსენებელს გამორჩა, კრებაზე სიტყვებით გამოსულმა კომუნისტებმა შეავსეს. კომუნისტი ე. ბასილაია ვრცლად შეეხო სამეურნეო და პოლიტიკური მუშაობის საკითხებს. ამჟამად სწრაფად წარმოებს მოსავლის აღება. გასულ სამეურნეო წელს 700 კილოგრამის ნაცვლად საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 728 კილოგრამი რძე. ჩაის კრეფის წლიური გეგმა შესრულებულია, მაგრამ შედეგები უკეთესი იქნებოდა, პარტიულ ორგანიზაციას უკეთ რომ ემუშავნა, უფრო მეტად რომ გაეჩაღებინა ბრძოლა ყველა რეზერვის გამონახვისა და გამოყენებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. მეცხოველეობის ფერმაში მივიწყებულია საგიტაციო-მასობრივი მუშაობა. ასეთივე მდგომარეობაა მემინდვრეობის მეშვიდე და მეცხრე ბრიგადებში. ორი-სამი თვეა, რაც ამ ბრიგადებში საველე გაზეთები არ გამოსულა.

მიწათმოქმედების კულტურისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოებაში მოწინავეთა გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევების დანერგვას. კოლმეურნე კომუნისტმა ლ. კირთაძემ თქვა, რომ იგი 9 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზე 50 ცენტნერამდე სიმინდს აიღებს. სიმინდის უხვ მოსავალს იღებენ აგრეთვე კოლმეურნეები ა. ჭედია, გ. ბირკაია, გ. თაფლაძე და სხვები. მაგრამ, — აღნიშნა მან, — პარტბიურო სუსტად ეწევა მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას, ნაკლებად ზრუნავს მოწინავე აგროტექნიკის პრაქტიკაში დანერგვისათვის. კრების მონაწილენი მოელოდნენ, რომ ამ საკითხებზე ვრცლად ილაპარაკებდა კოლმეურნეობის აგროტექნიკოსი თ. ოდიშარია, მაგრამ მან მხოლოდ ის თქვა, რომ „მისი გაანგარიშებით“ 22 ჰექტარის თითეულ ჰექტარზე 40 ცენტნერამდე სიმინდს მივიღებთ.

— მეცხოველეობის განვითარებისათვის ბრძოლაში უკეთეს შედეგებს მივაღწევდით, ვეტერინარიის დარგის მუშაკები უფრო უნარიანად რომ ეხმარებოდნენ კოლმეურნეობას, — განაცხადა ზოოტექნიკოსმა გ. ოკუჯავამ. — ჩვენ დროზე ვერ ვიღებთ საჭირო მედიკამენტებს. ეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ვეტერინარული სამმართველოს ბრალიც არის, — დასძინა მან.

ახალგაზრდობა დიდი ძალაა კოლმეურნეობაში. კომუნისტებმა სამართლიანად გააკრიტიკეს პარტბიუროს მდივანი შ. ელიავა პირველადი კომკავშირული ორგანიზაციისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე იმისათვის, რომ პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ სუსტად ეწევა მუშაობას ახალგაზრდობის აღსაზრდელად შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით.

კრებამ გაითვალისწინა კომუნისტთა საქმიანი შენიშვნები და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი განვითარებისათვის. დახურული კენჭისყრით არჩეულ იქნა პარტბიუროს ახალი შემადგენლობა. პარტბიუროს მდივნად არჩეულია ე. ბასილაია.

**გ. მილიუტინი,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

# ფართო გზა — მასების შემოქმედებას!

* * *

## ქარხნის რაციონალიზატორები

პარტიის XX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა ბათუმელ მენავთობეებში მძლავრი შემოქმედებითი აღმავლობა გამოიწვია. ამის ერთ-ერთ დამადასტურებელ ფაქტს წარმოადგენს ის, რომ მარტო განვლილ 9 თვეში შემოსულია 203 რაციონალიზატორული წინადადება, მათგან 107 უკვე დაინერგა წარმოებაში, რაც სახელმწიფოს სულ ცოტა 700 ათას მანეთს დაუზოგავს.

ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მთავარმა ტექნოლოგმა ს. დოლიძემ და ერთ-ერთი ტექნოლოგიური დანადგარის გამგემ მ. ფალავამ წინადადება შეიტანეს ნედლეულის წინასწარი გათბობისათვის გამოეყენებინათ დანადგარიდან მიღებული სითბო.

ამ წინადადების წარმოებაში დანერგვა მნიშვნელოვნად გაზრდის პროდუქციის გამოშვებას და შეამცირებს სათბობის ხარჯს.

უკანასკნელი წლების მანძილზე ქარხანაში ბევრი საინტერესო ღონისძიება განხორციელდა. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა მზა პროდუქციის გამოსავლიანობა, შემცირდა ნავთობის დანაკარგები, სათბობის, ელექტროენერგიის, ორთქლისა და რეაგენტების ხარჯვა, გაუმჯობესდა ტექნოლოგიური პროცესები, გაიზარდა დანადგარების წარმადობა.

საყურადღებო წინადადება შეიტანეს და განახორციელეს ქარხნის მოწინავე რაციონალიზატორებმა ზ. ფირაშვილმა, ვ. ქირიამ, ვ. ლაღიძემ, გ. ჯიქიძემ, ი. ყულენტმა, ლ. შკუროპატმა, ა. პუიუკიდიმ, გ. ლომთათიძემ და ა. ყაზარიანმა. მათი წინადადებით განხორციელდა ნავთობის გადამუშავების ნარჩენი თეთრი ემულსირებული წყლების ზღვის წყლით დაშლა, რის შედეგად ქარხანას ათასობით ტონა ნავთობპროდუქტები უბრუნდება, მნიშვნელოვნად მცირდება ამ წყლებისაგან ზღვის დანაგვიანება. წინადადების წლიური ეკონომიური ეფექტი 510 ათას მანეთს აღწევს.

წელს რაციონალიზატორთა რიგებს ახალი ადამიანები შეემატა. ახლა წარმოების ნოვატორთა რიცხვი ქარხანაში 150-ს აღწევს, მათ შორის 100-მდე მუშაა. აქტიურ რაციონალიზატორთა რიგებში არიან ოპერატორები გ. ჯიქიძე, ა. ძნელაძე, ს. ჩანტლაძე. ს. მკრტიჩიანი, ზეინკლები ა. პოცელუევი, პ. კუტაფინი, ხარატი ა. სმისლოვი, მუშა ა. ქელეხსიაკი, დანადგარის გამგე მ. ფალავა, ინჟინერი ქსენია მახარაძე, ი. დარმანიანი და მრავალი სხვა.

რაციონალიზატორთა რიგების ზრდას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების საბჭოს კარგი მუშაობა. საბჭოს ინიციატივით ხშირად ეწყობა ლექციები და კონსულტაციები, რაციონალიზატორულ წინადადებათა დათვალიერების ერთთვიურები, კონკურსები და ა. შ. საბჭო ადგენს და თვალსაჩინო ადგილზე აკრავს ნავთობის მრეწველობის იმ პრობლემატური საკითხების თემატიკას, რომელთა გადაწყვეტაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქარხნის შემდგომი წარმატება.

ქარხნის რაციონალიზატორები არაერთხელ გამოსულან გამარჯვებულნი საკავშირო კონკურსში. ამას წინათ მოსკოვიდან მიიღეს სასიხარულო ცნობა: ქარხნის რაციონალიზატორთა მუშაობას მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კარგი შეფასება მისცა სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სამინისტრომ.

ამჟამად ქარხანაში მიმდინარეობს რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის საზოგადოებრივი დათვალიერების კვირეული, რომლის შედეგები განხილული იქნება საქარხნო ტექნიკურ კონფერენციაზე.

**დ. პაიჭაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## ამბები საწარმოებიდან

### წელიწადში 618 ათასი მანეთი ეკონომია

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კომუნისტმა ინჟინრებმა გ. ხუციშვილმა და ბ. ლომთათიძემ ოთხი წლის წინათ დაამუშავეს და წარმოებაში დანერგეს სილიკომანგანუმის ურკინოდ დნობის და მის ბაზაზე მცირე და საშუალო ნახშირბადიანი ლითონური მანგანუმის მიღების ტექნოლოგია. ამ ნოვატორული ტექნოლოგიის დანერგვა საწარმოს ყოველწლიურად 618.000 მანეთ ეკონომიას აძლევს.

ამჟამად გ. ხუციშვილი და ბ. ლომთათიძე მუშაობენ მცირეფოსფორიანი წიდის მისაღები ახალი ტექნოლოგიის შემუშავებაზე.

გ. ჭუმბურიძე.

### 600 ათასი ცალი ბოთლი გეგმის გადამეტებით

ბორჯომის კალინინის სახელობის შუშის ქარხნის კოლექტივი ახალ წარმატებებს აღწევს წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში. წლის დამდეგიდან გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 600 ათასზე მეტი ბოთლი. ახლა აქ ბოთლების ყოველდღიური გამოშვება 140-160 ათასამდე გაზარდეს.

მოწინავე მემანქანეები ა. ლალაშვილი, ჯ. კიკნაძე, ა. ნადირაშვილი და სხვები ყოველდღიურ გეგმებს 112-115 პროცენტით ასრულებენ.

ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლიური გეგმა შეასრულოს 5 დეკემბრისათვის.

### 25 ტონა ნედლეული დღეღამეში

ლაგოდეხის ეთეროვანი ზეთების ქარხნის კოლექტივმა 1956 წლის გეგმა ვადამდე შეასრულა. წლის ბოლომდე ქარხნის კოლექტივმა იკისრა გადაამუშაოს 1.262 კილოგრამი რეჰანი და 60 ტონა გერანი. ახლახან აქ აამუშავეს განუწყვეტელი მოქმედების ზეთსახდელი აპარატი, რომელიც უზრუნველყოფს დღეღამეში 25 ტონა ნედლეულის გადამუშავებას.

ნ. რაზმაძე.

## საყურადღებო წინადადება



თბილისის საფოსტო განყოფილებები მაგისტრალური ხაზებით არიან შეერთებული ცენტრალურ ტელეგრაფთან. ეს ნიშნავს, რომ ტელეგრაფში უშუალოდ შეიძლება დეპეშების გაგზავნა. მაგრამ ასეთი მაგისტრალები ყველა განყოფილებამდე როდია გაყვანილი. თბილისის ზოგიერთ საფოსტო განყოფილებას არ შეუძლია უშუალოდ დაუკავშირდეს ცენტრალურ ტელეგრაფს, დეპეშები ფეხით მიაქვთ უახლოეს განყოფილებამდე და აქედან გადასცემენ მათ. იმისათვის, რომ ყველა განყოფილება უშუალოდ დაუკავშირდეს ტელეგრაფს, საჭიროა, ჯერ-ერთი, მაგისტრალური ხაზები და, მეორეც, დამატებითი აპარატები ცენტრალურ ტელეგრაფში. ეს გარკვეულ სიძნელეებთან და ხარჯებთან არის დაკავშირებული. საკმარისია ითქვას, რომ ტელეგრაფის აპარატის ღირებულება რამდენიმე ათას მანეთს შეადგენს, ხოლო თავისუფალი მაგისტრალური ხაზის გამოძებნა იოლი საქმე როდია.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ელექტროგანყოფილების უფროსის მოადგილემ ა. ყარყარაშვილმა წინადადება შეიტანა, რომ რომელიმე საფოსტო განყოფილების მაგისტრალი დამატებით გამოყენებულ იქნას სხვა განყოფილებიდან დეპეშების ტელეგრაფში გადასაცემად, ხოლო აქ დადგმული ერთი აპარატი ორ განყოფილებას მოემსახუროს. ამ იდეის პრაქტიკულად განხორციელებისათვის მან სპეციალური ხელსაწყოები დაამზადა.

ამჟამად ა. ყარყარაშვილის წინადადებით ნავთლუღის სადგურის შენობაში მოთავსებული № 38 საფოსტო განყოფილება დაუკავშირდა ცენტრალურ ტელეგრაფს, რისთვისაც გამოიყენეს მე-20 განყოფილების მაგისტრალური ხაზი. ცენტრალურ ტელეგრაფში დადგმული ტელეგრაფის აპარატი, რომელიც წინათ მხოლოდ მე-20 განყოფილებას ემსახურებოდა, ახლა 38-ე განყოფილებიდანაც იღებს დეპეშებს სხვა ქალაქებში გადასაცემად.

თბილისის ცენტრალური ტელეგრაფის გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ბიურომ განიხილა აღნიშნული ტექნიკური გაუმჯობესების ერთი თვის გამოცდის შედეგები და მიიღო გადაწყვეტილება თბილისის სატელეგრაფო ქსელში მისი ფართოდ დანერგვის შესახებ.

**ა. კარბელაშვილი.**

* * *

სურათზე: ა. ყარყარაშვილი (მარცხნივ), პრაქტიკანტი ა. მენშოვა და განყოფილების გამგე-ტელეგრაფისტი თ. კობალაძე ახალშექმნილი ხელსაწყოებით აღჭურვილი ტელეგრაფის აპარატზე მუშაობის დროს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## ერთი კოლმეურნეობის კომუნისტები

სტალინირის რაიონის სოფელ არცევის მაიაკოვსკის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციაში 32 კომუნისტი ირიცხება. ყველა კომუნისტს მიცემული აქვს პარტიული დავალება, რომელსაც ისინი პირნათლად ასრულებენ. საწარმოო ბრიგადებსა და ფერმებში მომუშავე კომუნისტები მაღალნაყოფიერი შრომის ნიმუშებს იძლევიან და გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ. მაგალითად, ფერმის გამგე კომუნისტი ვ. გოიაევი აქტიურად იბრძვის საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის. მეცხოველეობის ფერმამ წველადობის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, გეგმით გათვალისწინებული 780 ლიტრის ნაცვლად ერთ ძროხაზე საშუალოდ მიღებულია 952 ლიტრი რძე.

პარტორგანიზაცია რეგულარულად განიხილავს მეცხოველეობის განვითარების, ფერმებში შრომის ორგანიზაციის, პირუტყვის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების საკითხებს, ისმენს ფერმის გამგეებისა და ბრიგადირების ინფორმაციებს მუშაობის შესახებ. ამ მზრუნველობით მოპოვებულია ახალი წარმატებები. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით — 580 სულის ნაცვლად 684 სული ჰყავთ. ენერგიული შრომით თავი ისახელეს პირუტყვის მომვლელებმა კომუნისტებმა რ. გოიაევმა, ვ. კოზიევმა და სხვ.

კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ზ. გოიაევი) იბრძვის საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობისათვის, კომუნისტებს ანაწილებს საკოლმეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებზე, განსაკუთრებით იქ, სადაც ჩამორჩენაა და საჭიროა მასების დარაზმვა ამ ჩამორჩენილი დარგის წამოსაწევად. კომუნისტების ასე განაწილების საფუძველზე შესაძლებელი გახდა მემინდვრეობის მეორე და მესამე ბრიგადებში პარტიული ჯგუფების ჩამოყალიბება. ამ ბრიგადებში პარტჯგუფორგანიზატორებად არჩეული არიან ვ. კოზიევი და ლ. ხუბულაევი, რომლებიც ენერგიულად მუშაობენ. პარტიული ჯგუფები ბრიგადებში აწყობენ შეჯიბრებას, ეწევიან მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას, იბრძვიან შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა აგროტექნიკურ ვადებში შესრულებისათვის. პარტიული ჯგუფების შექმნამ ხელი შეუწყო ამ ბრიგადების დაწინაურებას. ახლა ისინი მოწინავე ბრიგადებად ითვლებიან კოლმეურნეობაში.

პარტბიურომ მევენახეობაში მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მევენახეობის ბრიგადაში სამუშაოდ გაგზავნა კომუნისტები ქ. გოიაევი და ნ. ტერაშვილი. ნაყოფიერი მუშაობით მათ წელს ყურძნის უხვი მოსავალი მიიღეს.

პარტიულ ორგანიზაციაში სერიოზული ყურადღება ექცევა კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას. ამ მიზნით შექმნილია მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრე, წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგების დასახმარებლად გამოყოფილია კონსულტანტი. კომუნისტები ი. გოიაევი, რ. კოზიევი, ქ. კუსრაევი და სხვები დიდი მონდომებით მეცადინეობენ.

ვ. ბაგილაია.

# აგრონომიული ქიმია სოციალისტური სოფლის მეურნეობის სამსახურში

მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სოფლის მეურნეობის განვითარებას ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. ეს ყურადღება კიდევ უფრო გაძლიერდა უკანასკნელ წლებში, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიან გეგმაში.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმით საქართველოში დასახულია ღონისძიებანი ხილის, ყურძნის, ჩაის, თამბაქოს, ციტრუსოვანი კულტურების მოსავლიანობის შემდგომი ამაღლებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლების საქმეში სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებებთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნიადაგის განოყიერებას მინერალური და ორგანული სასუქებით.

თუ მეფისდროინდელ რუსეთში ნიადაგის ნაყოფიერება მეტისმეტად დაბალი იყო, ეს უმთავრესად იმით აიხსნებოდა, რომ თითქმის არ იყო გამოყენებული ორგანული და მინერალური სასუქები. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში ქიმიური მრეწველობა და სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია სწრაფი ტემპით განვითარდა. ამის ნათელსაყოფად საკმარისია მოვიყვანოთ შემდეგი ციფრობრივი მაჩვენებლები.

1913 წელს მეფის რუსეთში გამოყენებული იყო მხოლოდ 114 ათასი ტონა სუპერფოსფატი, 1933 წელს კი საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობამ მიიღო 690 ათასი ტონა მინერალური სასუქები. მინერალური სასუქების წარმოება შემდეგ წლებში კიდევ უფრო გაიზარდა და მიაღწია 1938 წელს — 3.130 ათას ტონას, 1950 წელს — 5.100 ათას ტონას, ხოლო 1953 წელს 6 მილიონ ტონას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებით ჩვენმა სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ მეექვსე ხუთწლედის ბოლოს უნდა მიიღოს 19,6 მილიონი ტონა სამრეწველო სასუქები.

სასუქების წარმოების დონის მიხედვით საბჭოთა კავშირს დღეისათვის ევროპაში პირველი, ხოლო მსოფლიოში მეორე ადგილი უჭირავს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასუქების ასორტიმენტის ზრდას. დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში 16 სახის მინერალურ სასუქებს უშვებენ, მეექვსე ხუთწლედში კი გათვალისწინებულია 26 სახის ასეთი სასუქების გამოშვება. მთავარი ყურადღება ექცევა კონცენტრირებული ფოსფოროვანი სასუქების წარმოებას. ამ სასუქების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი დიდ ეკონომიას იძლევიან გადაზიდვის, შენახვისა და ნიადაგში შეტანისას.

ქიმიური მრეწველობის განვითარების პერსპექტივები საბჭოთა კავშირში ძალიან დიდია, რადგან ჩვენს ქვეყანას ნედლეულისა და ენერგეტიკის მდიდარი ბაზები აქვს.

ხიბინის აპატიტის საბადო, რომელსაც მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს ფოსფოროვანი სასუქების ნედლეულის მარაგით, აღმოჩენილ და ათვისებულ იქნა ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

ფოსფორიტების დიდი მარაგი აღმოჩენილი და ათვისებულია აგრეთვე საბჭოთა კავშირის სხვა მხარეებში, ოლქებსა და მოკავშირე რესპუბლიკებში. ფოსფორიტების მსოფლიო მარაგის 60 პროცენტზე მეტი საბჭოთა კავშირზე მოდის.

გარდა ამისა, საბჭოთა კავშირში აღმოჩენილია კალიუმის მარილების დიდი საბადო სოლიკამსკში, ათვისებულია ამონიაკის სინთეზის მეტად რთული პროცესი, აშენდა აზოტოვანი სასუქების მძლავრი კომბინატები ბერეზნიკში, სტალინოგორსკში, ჩირჩიკში და სხვ.

მინერალური სასუქების წარმოებასთან ერთად დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ადგილობრივი სასუქების დამზადებასა და გამოყენებას. გაიზარდა ნიადაგში ნაკელის, ტორფის, კომპოსტების, ნაცრის და სხვ. შეტანა.

მნიშვნელოვნად გადიდდა ბაქტერიული სასუქების წარმოება. ამჟამად საბჭოთა კავშირში მზადდება სამი სახის ბაქტერიული სასუქი — ნიტრაგინი, აზოტბაქტერინი და ფოსფორბაქტერინი.

საბჭოთა მეცნიერების მონაცემებით დადგენილ იქნა, რომ ნიადაგში მინერალური და ორგანული სასუქების ერთობლივად შეტანა ზრდის ნიადაგის ნაყოფიერებას, აუმჯობესებს მიწის სტრუქტურას, რის შედეგად მკვეთრად იზრდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა.

**მინერალური სასუქების გამოყენება საქართველოში**
(ტონობით)




დადგენილია, რომ მჟავე ნიადაგებში ჰექტარზე 2-დან 6 ტონამდე კირის შეტანა 10-15 წლის განმავლობაში უზრუნველყოფს მიწის მაღალ ნაყოფიერებას, ამასთან კორდიან-ეწეროვან ნიადაგებში ერთი ტონა კირის შეტანა რვამინდვრიანი თესლბრუნვის მთელი როტაციის პერიოდში მარცვლეულის მოსავლიანობას ჰექტარზე ზრდის 7-8 ცენტნერით. მწვანე სასუქების გამოყენებით ხორბლის მოსავლიანობა ჰექტარზე იზრდება 5-10 ცენტნერით, კარტოფილისა კი 40-70 ცენტნერით და ა. შ.

მცენარის კვებისა და სასუქების გამოყენების შესწავლაში საბჭოთა მეცნიერები ფართოდ იყენებენ ატომგულის ენერგიას. დიდი მუშაობაა გაწეული ნიშანდობლივი ატომების ხაზით სასუქების რაციონალური გამოყენების წესების დასადგენად.

საქართველოში სასუქების გამოყენება პრაქტიკულად 1930-1932 წლებიდან დაიწყო, მანამდე კი მინერალური სასუქების გამოყენებას მხოლოდ ცდების ხასიათი ჰქონდა. 1933 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობაში შესაძლებელი გახდა მხოლოდ 804 ტონა მინერალური სასუქების გამოყენება. შემდგომ წლებში ჩვენს რესპუბლიკაში მინერალური სასუქების გამოყენება საგრძნობლად დიდდება და 1939 წელს აღწევს 111 ათას ტონას, 1950 წელს — 186 ათასს და 1953 წელს — 263 ათას ტონას. მეექვსე ხუთწლედში მინერალური სასუქების გამოყენება მნიშვნელოვნად გაიზრდება.

ჩვენი რესპუბლიკის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ რუსთავში ამუშავდა და მწყობრში ჩადგა აზოტოვანი სასუქების ქარხანა, რომელიც ამიერკავკასიისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობას დიდი რაოდენობით მიაწვდის აზოტიან სასუქებს. მეექვსე ხუთწლედში გათვალისწინებულია ამ ქარხნის მიერ ამონიუმის გვარჯილის წარმოების გადიდება, აგრეთვე ნატრიუმის გვარჯილისა და ბორ-მანგანუმის შემცველი სასუქების წარმოების ათვისება.

მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენებამ, სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებებთან ერთად, შესაძლებელი გახადა ჩვენს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის მკვეთრი ამაღლება. მაგალითად, თუ 1932 წელს ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლიანობა ჰექტარზე 500-600 კილოგრამს უდრიდა, ახლა მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჰექტარზე საშუალოდ ვიღებთ 4.000-5.000 კილოგრამ ნედლეულს, ხოლო ცალკეულ კოლმეურნეობებში ეს ციფრი 8-10 ათას კილოგრამს აღწევს.

სასუქების გამოყენებით მკვეთრად გაიზარდა ციტრუსების მოსავლიანობა. თითეულ ხეზე 80-100 ცალის ნაცვლად ახლა მოჰყავთ 600-800 ცალი ნაყოფი, ცალკეული ნარგავებიდან კი თითეულზე 2.000 და მეტ ცალ ნაყოფს იღებენ. ასევე გაიზარდა შაქრის ჭარხლის, ხორბლის, სიმინდის, ყურძნის, თამბაქოს, ხილის, ტუნგოს, ბოსტნეულის და სხვა კულტურების მოსავლიანობა.

აგრონომიულმა ქიმიამ ფართო განვითარება ჰპოვა საქართველოში. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან შექმნილია აგროქიმიის კათედრა. ამას გარდა აგრონომიულ ფაკულტეტთან არსებობს აგროქიმიისა და ნიადაგმცოდნეობის სპეციალური განყოფილება.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან ჩამოყალიბებულია ნიადაგმცოდნეობისა და აგროქიმიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევ, ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებთან, აგრეთვე სხვა დარგობრივ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებთან შექმნილია აგროქიმიის განყოფილებები.

თუ ამ ორი ათეული წლის წინათ საქართველოში აგროქიმიის დარგში თითოოროლა მეცნიერი მუშაკი მუშაობდა, ამჟამად ჩვენ გვყავს პროფესორთა, დოცენტთა, მეცნიერების კანდიდატთა მთელი არმია, რომლებიც ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ჩვენი ქვეყნის სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში ჩაის კულტურის აგროტექნიკა და განოყიერების სისტემა შემუშავებულია ქართველი მეცნიერების მიერ. ასევე დიდი წარმატებები მოიპოვეს მათ სხვა კულტურებისათვის სასუქების გამოყენების საქმეში.

ქართველმა აგროქიმიკოსებმა დიდი მუშაობა გასწიეს ორგანული და მიკროსასუქების, აგრეთვე ტორფ-კომპოსტების გამოყენების, მცენარის ფესვგარეშე გამოკვების და სხვა საკითხების მეცნიერულად შესწავლისათვის.

ჩვენი მეცნიერი მუშაკები ქმედით დახმარებას უწევენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სასუქების წესიერად გამოყენებისა და მეცნიერების მიღწევების წარმოებაში დანერგვის საქმეში.

მაგრამ მეცნიერებისა და წარმოების მუშაკებს ჯერ კიდევ როდი უთქვამთ თავიანთი ბოლო სიტყვა. ჩვენი ქვეყნის სოციალისტური სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომი გრანდიოზული ამოცანები ავალებს მათ ახალი მიღწევები მოიპოვონ აგრონომიული ქიმიის განვითარებაში.

საბჭოთა აგრონომიული ქიმიის მუშაკები, რომლებიც შეიარაღებული არიან მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშემძლე იდეებით, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ საქმით უპასუხონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს და ყოველდღიურად სულ უფრო მზარდი დახმარება გაუწიონ ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ სოფლის მეურნეობას მის წინაშე მდგომი კეთილშობილური ამოცანების განხორციელებაში.

**პროფესორი ივ. სარიშვილი,**
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საკვებზე თანხებს ხარჯავენ, ადგილობრივ რესურსებს არ იყენებენ

[illegible]

...თავრეს მეცხოველეობაში გასული ...ურნეო წელი, მაგრამ ამან მთელ ...სამეურნეო ხელმძღვანელთა შო... ერთგვარი თვითდამშვიდება გამო... მათ შეანელეს ზრუნვა ამჟამად ...ლაზე მთავარი საქმისათვის — ...ცე საკვები ბაზის შექმნისათვის.

...ოფელ ქვედა ბახვის ენგელსის სა...ობის კოლმეურნეობაში (თავმჯ...არე ა. ერქომაიშვილი) საზოგადო...ივი მეცხოველეობა თავმინებებუ... აქ დანაშაულებრივ უყურადღე...ას იჩენენ პირუტყვისათვის მტკიცე ...ები ბაზის შექმნისადმი. კოლმე...ეობაში ხელიდან გაუშვეს საკვების ...ზადების საუკეთესო დრო, შეუწყ...ბლად გააჭიანურეს საკვების და...ოსება. არტელში წელს 252 ტონა ...ა უნდა დაემზადებინათ. კოლმეურ...ბის თავმჯდომარემ ა. ერქომაი...ლმა განიზრახა ეს საქმე დაქირავე...ო მუშახელის საშუალებით შეეს...ებინა. ხელშეკრულებაში, რომე...ც მან კოლმეურნეთა საერთო კრე...ზვერდის ავლით გააფორმა, ფორ...ურად მოიხსენია კრების ოქმის ...ერო, რაც საკოლმეურნეო დემოკ...ტიის უხეში დარღვევაა. დამახასია...ელია, რომ ქვედა ბახვის სასოფ...-სამეურნეო არტელში უყაირათოდ ...ბიან საკოლმეურნეო თანხებს. ...მან საკვების შეძენაზე 177.076 მა...თი დახარჯეს. მოსალოდნელი იყო, ...ამ მწარე გაკვეთილიდან სათანა...ო დასკვნებს გამოიტანდნენ და დრო...მიიღებდნენ ზომებს პირუტყვისათ...საკუთარი ძალებით მტკიცე საკვე...ბაზის შესაქმნელად. მაგრამ ასე ...რ მოხდა. აქ კვლავ ძველებურად ...ობენ. ჯერჯერობით 10 ათასი ...თი გამოჰყვეს თიბვაზე მომუშავე ...ირავებული მუშახელისათვის, მა...ნის ნაცვლად დამზადებული აქვთ მხოლოდ 40 ტონა თივა, საკვების დასილოსების გეგმის შესრულებას 100 ტონა უკლიათ.

სოფელ გურიანთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში მოუვლელობისა და ცუდი კვების გამო გასულ წელს 21 სული პირუტყვი დაიხოცა. მაგრამ აქაც როდი ითვალისწინებენ გასული წლის გაკვეთილს. გეგმით გათვალისწინებული 363 ტონის ნაცვლად დამზადებული აქვთ 56 ტონა თივა. მთლიანად არ იყენებენ ყველა რეზერვს პირუტყვის ჭოვლისა და კვების გასაუმჯობესებლად, დიდ ფულადს სახსრებს ხარჯავენ საკვების სხვა რაიონებიდან შემოზიდვაზე. ამიტომ არის, რომ აქ კილოგრამი ყველი საშუალოდ 32 მანეთი უჯდებათ, რაც დიდად ალემატება საკოლმეურნეო საბაზრო ღირებულებას.

ამ მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა აგრეთვე სოფელ სილაურის გენიჩესკის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე მ. სარიშვილი).

ზამთარი მოახლოვდა, პირუტყვისათვის საკვების დაგროვების საქმეში მზიანის, ბახვის, ლაშეს, ჯუმათის და სხვა სასოფლო-სამეურნეო არტელებში კი ჩამორჩენა გრძელდება. ამ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები ქმედით ზომებს არ იღებენ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

დრო არ ითმენს. კოლმეურნეობებმა სწრაფად უნდა დაძლიონ ჩამორჩენა. აუცილებელია ამ საქმეში მათ ოპერატიული დახმარება გაუწიონ რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა.

**გ. ჩხაიძე,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

## უკრაინელი სტუდენტები თბილისში

თბილისში სამ დღეს იყო სტუმრად კიევის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთა ჯგუფი, რომელშიც ათი კაცი შედიოდა. უკრაინელმა სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 39-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში. მათ დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ მცხეთაში და საგურამოში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებმა უკრაინელ მეგობრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

ამავე დროს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები იყვნენ კიევში. მათ დაათვალიერეს უკრაინის დედაქალაქი.

უკრაინელმა და ქართველმა სტუდენტებმა ერთმანეთს გაუზიარეს შთაბეჭდილებანი. ამ შეხვედრებზე ორი მოძმე რესპუბლიკის ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს უფრო მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა დაამყარონ ერთმანეთთან.

## საქართველოს მასწავლებელთა ჯგუფი კიევსა და მინსკში გაემგზავრა

14 ნოემბერს მოძმე რესპუბლიკების დედაქალაქებში კიევსა და მინსკში გაემგზავრა საქართველოს სსრ სკოლების პედაგოგთა ორი ჯგუფი. მათ შორის არიან მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლები — სულ 60 კაცი.

საწარმოო ექსკურსია მოაწყო საქართველოს სსრ განათლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა.

ექსკურსანტები 18 დღეს დარჩებიან კიევსა და მინსკში. ისინი გაეცნობიან სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების დაყენებას, გაუზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. (საქინფორმი).



თბილისის ავტოშემკეთებელი ქარხნის მოწინავე ხარატი ვ. ლომიძე (მარჯვნივ) ჩარხზე მუშაობის ხერხებს უხსნის ახალმოსულ მუშას ა. კატკოვს, რომელიც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობს მუშა ახალგაზრდობის სკოლაში. ფოტო შ. გოქაძისა.

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

# იაკობ გოგებაშვილის თხზულებანი

საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი უშვებს იაკობ გოგებაშვილის თხზულებათა ათტომეულს, რომლის ოთხი ტომი ქართველმა მკითხველმა უკვე მიიღო.

სარეცენზიო III და IV ტომებში შეტანილია ი. გოგებაშვილის 1896 — 1903 (III) და 1904 — 1912 წლების (IV) ნაწერები, რომელთა უმრავლესობა გამოქვეყნებული იყო იმდროინდელ პერიოდულ პრესაში, ხოლო გამოუქვეყნებელი წერილების ხელნაწერები დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში და ამდენად მიუწვდომელი იყო მკითხველთა ფართო მასებისათვის. დასახელებული ტომების გამოცემით ი. გოგებაშვილი პირველად წარსდგება საბჭოთა მკითხველის წინაშე მთელი თავისი შემოქმედებითა და მოღვაწეობით, როგორც გასული საუკუნის პროგრესულად მოაზროვნეთა პლეადის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ი. გოგებაშვილი იყო არა მარტო დიდი პედაგოგი, ავტორი ქართული და რუსული სახელმძღვანელოებისა ქართული სკოლებისათვის, არამედ აგრეთვე გამოჩენილი პუბლიცისტი, ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე.

სარეცენზიო ტომებში მოთავსებული მასალის თემატიკის მრავალფეროვნება და საკითხების გაშუქება ცოცხალი ილუსტრაციაა იმისა, რომ ი. გოგებაშვილი ცხოვრებას კვალდაკვალ მისდევდა, სიახლის გრძნობა გამახვილებული ჰქონდა და ყოველ ახალ მოვლენას შესაფერისად ეხმაურებოდა. შეიძლება დავასახელოთ რამდენიმე ნიმუში: მხცოვანი მოღვაწე ენერგიულად გამოეხმაურა რუსეთის პირველ რევოლუციას და სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე გამოაქვეყნა სტატიების მთელი სერია, საიდანაც აშკარავდება ი. გოგებაშვილის სოციალურ-პოლიტიკური მსოფლმხედველობა.

ი. გოგებაშვილი აღფრთოვანებული იყო 1905 წლის რევოლუციით, დიდ იმედებს ამყარებდა რევოლუციაზე და დარწმუნებული იყო, რომ თავისუფალ რუსეთში თავისუფალი სკოლა უნდა მიეღო მშრომელ მოსახლეობას. ხოლო „ბევრი სიკეთე რუსეთისა" ქართველებისაც სიკეთედაც გადაიქცეოდა. მას სწამდა, რომ რევოლუციის გამარჯვება ქართველ ხალხს მოუტანდა ეროვნულ თავისუფლებას, ეკონომიურ აღორძინებასა და კულტურულ აღმავლობას. ამიტომაც ის თავის ამ პერიოდის სტატიებში მრავალ ღონისძიებას სახავდა სახალხო სკოლის ქსელის გაფართოებისა და სასწავლო გეგმების განახლებისათვის, სახალხო უნივერსიტეტების დაარსებისათვის, ქართული თეატრის წინსვლისა და მოღონიერებისათვის, მშობლიური ენის სწავლების პროგრამის გაფართოებისა და დაცვისათვის, ქართული მწერლობის აღმავლობისათვის და სხვ.

ი. გოგებაშვილი საფუძვლით ჯანსაღ ნიადაგზე დგას. მას ოდნავაც არ აშინებს თვითმპყრობელობასთან ბრძოლა და ძალთა უთანაბრობა, რადგან დიდი დამხმარე ძალა ეგულება თვით რუსი ხალხის მოწინავე ნაწილში. იგი წერს: „ჩვენ არას დროს არ უნდა დავივიწყოთ ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია მხარი მოგვცეს, ნამდვილი სამსახური გაგვიწიოს და ჩვენს არსებობა-წარმატებას ხელი შეუწყოს, არის პროგრესული, მარცხენა რუსეთი..." (გვ. 473).

მრავალმეტყველია ი. გოგებაშვილის ეს სიტყვები.

ი. გოგებაშვილი ყოველთვის თავის დროზე და ენერგიულად ეხმაურებოდა ქართველი ერისა და მოძმე ერების ცხოვრებაში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს. მისი ულრმესი მწუხარება გამოიწვია ილია ჭავჭავაძის ვერაგულად მოკვლამ, რაც მეფის ოხრანკამ მოაწყო და რამაც მთელი ქართველი ხალხი დაამწუხრა. ამ აქტს გოგებაშვილი რამდენიმე სტატიით ეხმაურება.

ი. გოგებაშვილი აღფრთოვანებით შეხვდა 1908 წელს აკაკის სამწერლო მოღვაწეობის 50 წლისთავის საიუბილეო დღეებს. მან აკაკის „ქართული პოეზიის იალბუზი" უწოდა და რამდენიმე მხატვრული ესკიზი და საგაზეთო სტატია მიუძღვნა დიდ პოეტს.

1911 წელს ტარას შევჩენკოს გარდაცვალების 50 წლისთავის დღეებში ი. გოგებაშვილმა გამოაქვეყნა ორი წერილი, რომლებშიც ქართველ მკითხველს გააცნო უკრაინა და მისი სახელოვანი შვილის ცხოვრება და შემოქმედება.

ტომების შემდგენელს ვ. ქაჯაიას სერიოზული შრომა გაუწევია დიდი პედაგოგის ლიტერატურული მემკვიდრეობის საარქივო ფონდებიდან და პერიოდული გამოცემებიდან სათანადო მასალების ამოკრეფით, შესწავლითა და ჯეროვანი კომენტარებით. მაგრამ გაუგებარია რატომ ახდენს რედაქცია ზოგიერთი მასალის შემოკლებას ან მთლად ტოვებს ტომის გარეთ? მაგალითად, სარეცენზიო ტომებში შემოკლებულია, საკმაოდ ვრცელი ადგილების გამოტოვებით, რამდენიმე სტატია (III ტ. გვ. 482. IV ტ. გვ. 174, 196, 201, 142, 328, და ა. შ.). საერთოდ მიღებულია, რომ კლასიკოსის კუპიურება, შეკვეთება და შელამაზება არ შეიძლება. ვინ არ იცის, რომ ი. გოგებაშვილი, როგორც თვითონ რედაქტორი აღნიშნავს, „სოციალ-პოლიტიკური საკითხების რევოლუციურ-მარქსისტულ გაგებამდე არ ამაღლებულა". ამიტომ მისი გათანამედროვების ცდა მიუღებელია და კლასიკოსის გაყალბებაა.

IV ტომში უნდა შესულიყო პოლემიკა „ჯავახელთან", ვინაიდან იგი ეხება სახელმძღვანელოს შედგენის საკითხებს და მხოლოდ მეცნიერულ კამათს წარმოადგენს. 1910 წელს „სახალხო გაზეთის" (№ 43) ფურცლებზე ი. გოგებაშვილმა უპასუხა „ჯავახელის" რეცენზიას, და ზედ მოაყოლა სტატია „რას ამბობს ბრემი ოფოფის შესახებ?" (იქვე, № 58). ეს სტატია უპასუხოდ არ დატოვა იმავე „ჯავახელმა" (№ 63). ამ პასუხს მოჰყვა ი. გოგებაშვილის პასუხი: „უკანასკნელი სიტყვა (პასუხად ჯავახელს ბ-ნს)" იმავე გაზეთში (№ 113). ეს პოლემიკა არ იყო ინტერესს მოკლებული, რადგან იგი გარკვეულ მნიშვნელობის მქონეა ქართული სახელმძღვანელო წიგნის ისტორიისათვის. მსგავსი მაგალითების დასახელება კიდევ შეიძლება. მათი გამოტოვება გამართლებული არ არის.

„წერილი რედაქციის მიმართ" (გვ. 279) მხოლოდ შესავალია სტატიისა „პრინციპიალობა" დროების „მესვეურისა" (გვ. 281) და ამიტომ ის ცალკე მასალად კი არ უნდა წასულიყო ტომში (IV) არამედ, წესისამებრ, ამ სტატიას უნდა წამძღვარებოდა.

ტომებში კორექტურული შეცდომები, მართალია, მინიმუმამდეა ჩამოყვანილი, მაგრამ აქა-იქ მაინც ვხვდებით, რასაც უეჭველია მხედველობაში მიიღებს რედაქცია და კიდევ უფრო გააუმჯობესებს მომდევნო ტომების გამოცემას.

ი. გოგებაშვილის თხზულებათა III და IV ტომები ძვირფასი საჩუქარია ქართველი საბჭოთა მკითხველისათვის.

**ს. ცაიშვილი.**

## ნორჩ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა



ხატვის სწავლებას თბილისის სკოლებში დიდი ყურადღება ექცევა. მთელ რიგ სკოლებში შექმნილია ხატვის წრეები, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეთა შემოქმედებითი ნიჭის გამოვლინებასა და განვითარებას.

მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია ამ მხრივ სტალინის რაიონის განათლების განყოფილებამ. რაიონის ბევრ სკოლაში შექმნილია ნორჩ მხატვართა წრე, რომელიც მხატვრობაში საინტერესო მონაცემების მქონე მოსწავლეებს აერთიანებს. მე-17, მე-19 და 28-ე საშუალო სკოლებში ახლახან მოეწყო ნორჩ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა.

ამ დღეებში მოსწავლეთა ნახატების გამოფენა გაიხსნა აგრეთვე თბილისის მე-20 საშუალო სკოლაში. ამ სკოლაში უკვე რამდენიმე წელია არსებობს ხატვის წრე, რომელსაც მხატვარი რუსუდან ჯავრიშვილი ხელმძღვანელობს. წრის წევრები თავდაპირველად ფანქრით ასრულებდნენ ნახატებს ნატურიდან, ხოლო შემდეგ ზეთით შეუდგნენ ხატვას.

მე-20 საშუალო სკოლის ნორჩ მხატვართაგან კარგი მონაცემებით გამოირჩევა მე-9 კლასის ხუთოსანი მოსწავლის ნანა ბედიაშვილის ნახატები. ყურადღებას იპყრობს მისი ნამუშევრები ზეთით: „თბილისი ღამით", „ეზო ახალქალაქში" და სხვ. მნახველზე სრულყოფილი ნაწარმოების შთაბეჭდილებას ტოვებს აგრეთვე ნ. ბედიაშვილის ნატურმორტები და პეიზაჟები.

მე-20 საშუალო სკოლის ნორჩ მხატვართა სურათების გამოფენაზე წარმოდგენილ ნაწარმოებთა შორის აღსანიშნავია აგრეთვე მე-9 კლასის მოსწავლის ს. ხანოსიანისა და მე-10 კლასის მოსწავლეების ე. გოვორკოვისა და ი. გავას ნახატები. განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს ე. გოვორკოვის ნატურმორტი.

სურათზე: გამოფენის ერთი კუთხე მე-20 საშუალო სკოლაში.

ფოტო შ. გოქაძისა.

## საინტერესო შეხვედრა

ამ დღეებში თბილისის მასწავლებლის სახლში მოეწყო სკოლის მუშაკთა და უფროსი კლასების მოსწავლეთა შეხვედრა კალინინის რაიონის საშუალო სკოლების კურსდამთავრებულებთან, რომლებიც ამჟამად მუშაობენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომის მდივანმა ამხ. ნ. კომახიძემ.

სიტყვებით გამოვიდნენ: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ახვლედიანი, ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი ს. კინწურაშვილი, მესამე სამშობიარო სახლის დირექტორი ექიმი ე. გვანცელაძე, პოეტი რ. მარგიანი და სხვ.

შეხვედრის წინ დამსწრეებმა დაათვალიერეს სტენდები, სადაც გამოფენილი იყო კალინინის რაიონის საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა, ამჟამად გამოჩენილ ადამიანთა პორტრეტები და მათი ნაშრომები. ამ დღისათვის გამოშვებულ იქნა კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი „შეხვედრა".

## ფართოვდება სავაჭრო ქსელი

...ბოლნისი. (საკ. კორ.). რაიონის ...ნტრში რაიკავშირმა დაამთავრა ...სართულიანი შენობის აგება. ...ველ სართულზე მოთავსდება ...ლტმაღაზია, ხოლო ზედა სართულზე — სახაიე. საექსპლოატაციოდ გადაეცა ბენზინის ავტომატური სავაჭრო წერტი. შენდება ახალი შენობა რკინა-კავეულის მაღაზიისათვის.

# 4. [illegible]

### სახალხო ჩინეთში

...მუალო ტანის არის ეს ახალგაზრდა, წინწა...ული, მონღოლური ყვრიმალები და ფართო ... აქვს, თვალები შავი, ქუთუთოები ვიწრო და ... გაჭრილი. განიერფარფლებიანი ქუდიდან ...ტი, ჯაგრისებური ქოჩორი გამოსჩრია. წი...-ყვითლით მოსირმული მოკლე ჯუბა აც... ...წელქვევით შემოხვეული აქვს ფართოსახე...ბიანი ხიფთანი.

...უხედავად სიცხისა, შესანიშნავი ნაძვნარის ...ლს ყურადღებას არ აქცევს, მზეს არ ერი..., ეტყობა შეჩვეულია. ოდნავი რხევით მი... მცირედ წელგაზნექილი. იგი პეკინის ზღაპ...ო ბაღის ბეიხაის პავილიონებთან თავისია... შეხვდა. ტანდაბალი გოგონები რაღაცაზე ...ისებენ, თმაში ჩაწნული წითელი აბრეშუ...ბაფთებით თავს იწონებენ.

... ტიბეტელი ახალგაზრდების ჯგუფი მოსუ...პეკინის სახელგანთქმული ძველი საიმპერა...ო „აკრძალული", „წითელი ქალაქის" დასა...ვალიერებლად.

...ლა ისინი კამკამა ტბის პირას რიგზე ჩამ...ვებულ კინოაფიშებს ათვალიერებენ. ერთი ...ანი ხმამაღლა კითხულობს ჩინურ ენაზე ...წერილს, მერე დანარჩენებს უხსნის და ეთა...ება.

...თაზე შავი ღრუბლები გამლილან. ჩამუქე... ფონზე ელვა იკლაკნება. ხევის პირს მიჰ... ვიწრო ბილიკი და ღრუბლებში უჩინარ... ბილიკზე, მოშორებით, მოხდენილი ყმა...ი მოჩანს. მას ჭრელი, ძვირფასი მოხატუ...ხურჯინი აქვს მხარზე გადაგდებული, ...ბანი კაბა აცვია. წინა პლანზე ეშხიანი, თვა...ბრიალა გოგონა მორცხვად, მოკრძალებით ...ქრის ტანწერწეტა ვაჟკაცს...

...ბეტელი დიდხანს ჩერდება აფიშის წინ. ...ავს, ხელით ეხება მოხატულ, ჯვრიან კაბას, ... თავისას აკვირდება, მსგავსებას პოულობს ...ცინის.

...მა იუწყება: „ბეიხაის პარკის საზაფხუ...კინოთეატრში ნაჩვენები იქნება ქართული ...ი „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან".

...ლა ძალიან დააინტერესა ვეფხიას ხევსუ...ამა ჩაცმულობამ, და მათ ერთხმად გადა...ტეს ენახათ კინოსურათი. ეროვნულ ტან...ლიანი ტიბეტელი ახალგაზრდები პეკინის ...იტუტის სტუდენტები აღმოჩნდნენ.

— ვინ იცის, ტიბეტი როგორ ენატრებათ. გა...ონია, იქამდე გრძელი გზაა... — ვეუბნებით ...ოლს.

— არა, რატომ! — იცინის იგი. — ახლა ტი...ამდე ორი-სამი გზა არსებობს. ცინხაი-ტიბეტის მარშრუტით სამგზავრო თვითმფრინავის პირველი სასინჯი გაფრენაც მოხდა.

— მაშ პეკინიდან ლხასაში კაცი მალე ჩავა.

— ოცდაოთხ საათში! ძველათ კი ერთ თვეზე მეტი სჭირდებოდა. უწინ იმპერატორები ტიბეტელი ლამების გულის მოსაგებად უსარგებლო სამლოცველოებს, პაგოდებს აგებდნენ, ხალხზე კი არავინ არ ზრუნავდა.

გამყოლმა გორაზე წამოყუდებული ვეებერთელა ზარის ფორმის თეთრი შენობა დაგვანახვა.

— აი ესეც ტიბეტის პაგოდაა!

მართლაც და ტაძრების, გამოუყენებელი პაგოდების აგება, ისიც პეკინში, რას დაეხმარებოდა ტიბეტის დაბეჩავებულ ხალხს. ამჟამად მთავარი ის არის, რომ „ჩინეთის გზამ" მარტო ლხასაში კი არა, ტიბეტელი ხალხის, ყველა ჩაგრული ეროვნული უმცირესობის გულშიც შეაღწია.

„მიაოსა და იაოს ტომები ცხოვრობენ საშინელ სიღატაკეში, მუშაობენ ხის თოხებით, არ იციან წერა-კითხვა, არ იცნობენ ფულს. ისინი ადგანან გადაშენების გზას"... წერდა ერთი მოგზაური, რომელმაც ზუსტად 20 წლის წინათ რამდენიმე დღე დაჰყო მათთან.

ამჟამად ეროვნულ უმცირესობებს—ტიბეტელებს, უიგურებს, მიაოს, იაოს და სხვა ხალხებს აქვთ საკუთარი სკოლები, საავადმყოფოები, ლიტერატურა და ხელოვნება. ვითარდება სოციალისტური გზით მიმავალი ეკონომიკა, კულტურა.

...კარგახანს დავყავით ბეიხაის პარკში. ტბის ერთი მხარიდან გადავცურეთ ძველთაძველი, რომაული ტიპის ოთხკუთხა, ჩარდახიანი ნავით. მენავეები ორივე მხარეს სიგრძეზე მიკრულ ფიცრებზე დგანან, გრძელი ჭოკით აწვებიან ტბის ფსკერს და ისე მიჰყავთ ნავი.

ტბის მეორე მხარეს ვნახეთ 1736-1895 წლებში აგებული ჩინური კერამიკული ხელოვნების განსაცვიფრებელი ნიმუში — „ცხრა დრაკონის კედელი". ჩინეთში თითქმის ყველგან არის ათასგვარი სახისა და ფორმის სფინქსების, დრაკონების გამოსახულება. დრაკონს კარვის კალთის მსგავსად ოდნავ ზეაქნეულ სახურავის კიდეზეც ნახავთ. საიმპერატორო ნივთებზე კი მისი გამოსახულება უმრავლეს შემთხვევაში ჩინური ჩუქურთმის შემადგენელი ნაწილია.

დრაკონი ჩინურ მითოლოგიაში, ძველ ხალხურ თქმულებებსა და რელიგიურ ჩვევებში დამკვიდრდა როგორც წყლის, მოსავლის, ყოვლისშემძლეობის ღმერთი. იმპერატორებმა ეს ზღაპრული სახე ქანდაკებებად აქციეს და ამით ხალხს აჩვენეს, რომ ისეთი ყოვლისშემძლე ღმერთიც კი, როგორიც დრაკონია, მათ ემსახურება.

პეკინში დავათვალიერეთ მინთა დინასტიის დროს აგებული მსოფლიოში სახელგანთქმული არქიტექტურული ნაგებობა „ცის ტაძარი". იგი ორად იყოფა — „ამაღლების" და „უხვი მოსავლის" სამლოცველოდ, სადაც ურიცხვ მსხვერპლს სწირავდნენ წელიწადის ნაყოფიერების გულისათვის.

„ცის ტაძარს" დიდი, მრგვალი გალავნით შემოზღუდული ეზო აქვს. გალავანი არაჩვეულებრივი აკუსტიკურ-ვიბრაციული გაანგარიშებით არის აგებული. თუ კედელს ყურს მიადებთ, ან მასთან ახლოს დადგებით, მოწინააღმდეგე მხარეზე საკმაოდ მოშორებით მდგომთა ჩურჩულსაც თავისუფლად გაიგონებთ.

პეკინი საერთოდ განთქმულია უძველესი ძეგლებით, მაგრამ ქალაქი ყველაზე მეტად წარსულით კი არა, დღევანდელობით ამაყობს. ამჟამად იგი დაქსელილია ახალი სამშენებლო ინდუსტრიული უბნებით. შენდება კინოთეატრები, კულტურის დაწესებულებანი, საცხოვრებელი ...ები. ქუ...ი ისმის. ...თ მიიმართებიან მშენებლობებზე. ქალაქში ხშირად წითელი იეროგლიფებით მოხატულ მაისურებიანი ახალგაზრდები მოგვხვდებათ თვალში. მაისურებზე წერია: „ვაშენებთ ახალ ჩინეთს. მეორე სამშენებლო ბრიგადის I უბანი" და სხვ.

მთელ ქალაქში, ყველგან გვიან ღამემდე არ წყდება გაცხოველებული ფუსფუსი, ვაჭრობა, ხალხის ხმაურს ერთვის გამყიდველთა შეძახილები. საშაქარლამოეში თეთრჩაჩიანი ბიჭები გვპატიჟებიან და თავიანთ ნახელავს აქებენ.

ყოველივე ამას საერთო ტონს აძლევს და ალამაზებს ქუჩების ორიგინალური, აზიური მოხატულობა, ნაირფერი იეროგლიფები, რეკლამები.

ერთ საღამოს ჩვენი პეკინელი მეგობრის ჯან ჯის მოულოდნელი სტუმრობით გავიხარეთ. მან ჩვენთან სასტუმროში მოიყვანა და გაგვაცნო თავისი პატარა გოგონა ა მაო და მეუღლე პან დი. ყველა ჩვენგანს უნდოდა ბავშვს მოფერებოდა, ჯიბეები კანფეტით ავუვსეთ, მაგრამ პატარა გოგონა ამდენ უცხოსთან დაიბნა, სახე ხელებში ჩამალა და ატირდა.

დედამ დაუყვავა და უთხრა:

— ო, შვილო! როგორ იტირებდი, რომ იცოდე, შენთვის ეს შეხვედრა რა სასიამოვნო მოსაგონარი იქნება.

ჯან ჯი ისედაც მხიარული ყმაწვილია და ახლა სულ იცინის. ალტაცებულია, რომ კვლავ შევგხვდა. თავის ახალ გეგმებს გვაცნობს და ჩვენც სიხარულით გვავსებს.

სწრაფად განვლო დღეებმა პეკინში. დიდი კმაყოფილებით შევხვდით ცნობას, რომ ჩვენ აქ კვლავ დავბრუნდებით — ნება დაგვრთეს ტიანანმინის — „მშვიდი ცის" მოედანზე დავესწროთ ოქტომბრის დღესასწაულს, განთავისუფლების მეშვიდე წლისთავის ზეიმს.

წინასაზეიმო ფუსფუსისაგან ჩინეთის ქალაქებს უფრო ნაცნობი ელფერი დაედო. პეკინიდან გამოსვლის შემდეგ ნანკინისაკენ მთელ გზაზეც იგრძნობოდა, რომ ახლოს არის სახალხო დღესასწაული. ყველგან აკრავდნენ ლოზუნგებს. სადგურებში ფრიალებდნენ მზეზე ყაყაჩოსფრად მოელვარე ხუთვარსკვლავიანი დროშები.

მოქუშულ, წვიმიან დღეს მიგვიღო ნანკინმა. არ გამართლდა ჩინური ანდაზა — „კეთილი სტუმარი მზიანი დარიაო".

ათასგვარად მოხატულ ჩინურ ქოლგებს დაეფარა ქუჩები.

ნანკინში დავათვალიერეთ მინერალური სასუქების ქარხანა. იგი ადრე კერძო იყო, ახლა სახელმწიფო საკუთრება გახდა. მისმა ყოფილმა მეპატრონემ კაპიტალისტმა ხუ დე-ბამ მასთან პარტიის მიერ ჩატარებული აღმზრდელობითი მუშაობის შემდეგ თვითონ მისცა მთავრობას წინადადება ქარხანა სახელმწიფოებრივი გამხდარიყო. ხუ დე-ბა ამჟამადაც ქარხნის დირექტორია.

მაგრამ თუ კაპიტალისტი ნებაყოფლობით არ განასაზოგადოებს საკუთრებას, მის მიმართ იძულებითი, ძალდატანებითი ღონისძიებების მიღება არ შეიძლება. ასეთ შემთხვევაში მისი საწარმო ხდება სახელმწიფოებრივ-კერძო. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო განსაზღვრული დროის განმავლობაში კაპიტალისტს აძლევს მოგების ნაწილს, მანამდე, სანამ ამ მოგების ოდენობა არ შეადგენს საწარმოს მთლიან ღირებულებას, ე. ი. იმას, რაც კაპიტალისტმა საკუთრად დახარჯა და დააბანდა წარმოებაში. ამის შემდეგ სახელმწიფო წყვეტს საზიარო საკუთრებას და წარმოება სახელმწიფოებრივი ხდება, ხოლო ყოფილი კაპიტალისტი, თუ ის ქარხანაში კვლავ მუშაობს, მიიღებს ჩვეულებრივ საშტატო ხელფასს. ასე თანდათანობით ხდება კერძო საკუთრების გადაზრდა სოციალისტურ საკუთრებად.

ამჟამად ჩინეთში კერძო მესაკუთრეს და ეროვნულ ბურჟუაზიას უკანდასახევი გზა აღარ დარჩენიათ. ისინი თანდათან რწმუნდებიან ცხოვრების განვითარების ობიექტური კანონზომიერების აუცილებლობასა და სისწორეში.

შორს დარჩა ის დრო, როცა უცხო ქვეყნის კაპიტალისტები ზეგავლენას ახდენდნენ ჩინეთზე და დაუნდობლად ძარცვავდნენ მას. ქართველი ხალხი, საქართველოს საზოგადოება ყოველთვის დაინტერესებული იყო ჩინეთის ისტორიული განვითარების ბედით. ჩვენი დიდი სიმპათია ჩინელი ხალხისადმი იმ პერიოდში შესანიშნავად გამოხატა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების სულისჩამდგმელმა და მედროშემ ილია ჭავჭავაძემ. „ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა, — წერდა იგი, — დაბალი ღობე იქ დაინახეს და ხარბი თვალი აიხილეს... მიესივნენ დამარცხებულ ჩინეთს, რომ გამოჰგლიჯონ რამე".

საერთაშორისო კაპიტალიზმი ახლა ზეგავლენას ვეღარ ახდენს ჩინეთზე. ამას ნიადაგი გამოაცალა სახალხო რესპუბლიკის სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის დიდმა წარმატებებმა, მისმა გრანდიოზულმა წინსვლამ, იმ ფაქტმა, რომ ჩინეთს მხარში უდგანან დიდი საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები. ჩინეთი მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის და სამართლიანობის აღდგენისათვის ბრძოლის ერთ-ერთი მძლავრი ბურჯი გახდა.

ადამიანებს, რომლებიც ჯერ კიდევ მერყეობენ, კომუნისტი აგიტატორები ეუბნებიან: „ტყუილად გიჭირავთ თვალი იმპერიალისტური ქვეყნებისაკენ. სულ ერთია, ადრე თუ გვიან ყველგან სოციალიზმი, კომუნიზმი გაიმარჯვებს".

საფსებით ბუნებრივი იყო, რომ ძალიან გვაინტერესებდა დაგვეთვალიერებინა იმ ადამიანის მავზოლეუმი, რომელმაც პირველად აღიმაღლა ხმა ჩინელი ხალხის სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. ეს იყო დიდი ჩინელი რევოლუციონერი დემოკრატი სუნ იატ-სენი.

სუნ იატ-სენის მავზოლეუმი ნანკინის აღმოსავლეთით მდებარეობს. ნანკინიდან მისკენ გზა ჭანდრების უწყვეტ ხეივანში მიიმართება.

ზდინის გორაზე აღმართულია მარმარილოთი მოპირკეთებული თეთრი შენობა. მას ახლა ნისლი თავზე თხელი ლეჩაქივით მოსდებია. ამ გორაზე მავზოლეუმში 392 საფეხურით ადიხართ. გადმოხედვისას კიბეების თავისებური არქიტექტურული განლაგების გამო ცალკეული საფეხურები იკარგება და ქვევით ტერასებად განლაგებული მთლიანი სიბრტყელა მოჩანს. ამით არქიტექტორ ლიუ იან-ჩინს მეტად ორიგინალური, თავისებური ფორმით უთქვამს, რომ როცა თანამდებობრივად ამაღლდები, არასოდეს არ უნდა დაივიწყო ის უმცირესი საფეხურები, რომლებითაც შესძელ მაღლა ასვლა. ხალხს, მასებს არასოდეს არ უნდა მოსწყდე, მათ ხმას ყოველთვის უნდა უგდო ყური, როგორც ამას აკეთებდა სუნ იატ-სენი. ამავე სულისკვეთებით არის გამსჭვალული კედელზე ამოკვეთილი სუნ იატ-სენის სამი სახალხო პრინციპი: ნაციონალიზმი (ერთა თანასწორუფლებიანობა), ხალხის მმართველობა (დემოკრატიზმი) და ხალხის კეთილდღეობა.

ზდინის გორიდან დიდხანს გავყურებდით თვალწარმტაც პეიზაჟს. მდინარე იანძიზე გემები ბოლავდნენ.

**ბიბი მარუაშვილი.**

(დასასრული იქნება).

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი", № 247, 251, 258).



ხანაპირო პეიზაჟი.

ნახატი თ. ახათიანისა.

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესია

## გენერალურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 14 ნოემბერი. (საკდესი). დღევანდელი დღე გენერალურმა ასამბლეამ მიუძღვნა ორგანიზაციულ საკითხებს და დღის წესრიგის განხილვას. მუშაობს ასამბლეის მხოლოდ გენერალური კომიტეტი, რომელმაც დილის სხდომაზე განიხილა სხვადასხვა საპროცედურო საკითხი და გენერალური ასამბლეის XI სესიის დღის წესრიგი.

კომიტეტმა, კერძოდ, მიიღო გადაწყვეტილება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესია იმუშავებს 15 თებერვლამდე და მუშაობას შეწყვეტს საახალწლო და საშობაო დღესასწაულებზე 23 დეკემბრიდან 2 იანვრამდე.

ნიუ-იორკი, 15 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ გენერალური კომიტეტის დილისა და დღის სხდომებზე განხილულ იქნა გენერალური ასამბლეის წინასწარი დღის წესრიგი. კომიტეტმა რჩევა მისცა გენერალურ ასამბლეას შეეტანა დღის წესრიგში მთელი რიგი საკითხები. დღის წესრიგის ორი პუნქტი — ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიის შესახებ და ეგრეთწოდებული „უნგრეთის საკითხი" უკვე წინათ იყო შეტანილი დღის წესრიგში. დღის წესრიგის მეტი წილი საკითხები დამტკიცდა ისე, რომ რაიმე წინააღმდეგობა არ გამოუწვევია. სამხრეთ აფრიკის კავშირის წარმომადგენელი იმის წინააღმდეგი იყო, რომ დღის წესრიგში შეეტანათ სამხრეთ აფრიკაში რასობრივი დისკრიმინაციის საკითხი, ხოლო საფრანგეთის წარმომადგენელი წინააღმდეგი იყო ალჟირის საკითხის შეტანისა. მაგრამ ორივე ეს პუნქტი შეიტანეს დღის წესრიგში.

ხანმოკლე დისკუსიის შემდეგ ასამბლეის დღის წესრიგში შეიტანეს კვიპროსის საკითხი, რომელიც აერთიანებს ორ ქვეპუნქტს: ა) კუნძულ კვიპროსის მოსახლეობისათვის თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპის შეფარდების შესახებ და ბ) ინგლისის საჩივარი „საბერძნეთის მიერ კვიპროსზე ტერორიზმისათვის მხარდაჭერის" გამო. საბერძნეთის თხოვნას, რომ გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიას განეხილა კვიპროსის საკითხის პირველი ქვეპუნქტი, მხარი დაუჭირეს სსრ კავშირისა და ეგვიპტის დელეგატებმა. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. სობოლევმა ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ერთ წელიწადში მას შემდეგ, რაც კვიპროსის საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ირჩეოდა, მდგომარეობა კვიპროსზე მნიშვნელოვნად გაუარესდა. ...

საერთაშორისო პრობლემის განხილვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიმდინარე სესიაზე. ანგარიში არ გაუწია რა იმას, რომ გენერალურ კომიტეტს უნდა განეხილა მხოლოდ ინდოეთის წინადადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის წარმომადგენლობის საკითხის განხილვის შესახებ, ლოჯმა შეიტანა თავისი წინადადება, რომლის მიზანი იყო არსებითად ჩაეშალა ინდოეთის წინადადების განხილვა. მან მოითხოვა, ჯერ-ერთი, გამოერიცხათ ინდოეთის წინადადება, მეორე, საერთოდ ამ სესიაზე არ განეხილათ რაიმე ფორმით ჩინეთის წარმომადგენლობის საკითხი.

ამერიკის წინადადებას მხარი დაუჭირა თურქეთის წარმომადგენელმა სარპერმა. ...

... ვის დასაბუთებული და დამაჯერებელი პასუხით, რომლებიც ისწრაფვიან არ დაუშვან, რომ კენჭი ეყაროს ინდოეთის წინადადებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის წარმომადგენლობის საკითხის ასამბლეის დღის წესრიგში შეტანის შესახებ.

მენონმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წინადადება წარმოადგენს ასამბლეის პროცედურის წესებისა და საღი აზროვნების აბუჩად აგდებას. მან დამაჯერებლად დაამტკიცა ამ სიტყვების სამართლიანობა. ინდოეთის წარმომადგენელმა გაიხსენა, რომ გენერალური კომიტეტის ფუნქციაში არ შედის რომელიმე პოლიტიკური საკითხის გადაწყვეტა ან წინასწარ გადაწყვეტა, რომ კომიტეტს შეუძლია მხოლოდ განიხილოს გაერ- ...

... თის წინადადებისა, რომ სესიის დღის წესრიგში შეეტანათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის წარმომადგენლობის საკითხი.

როგორც გენერალური ასამბლეის წარსულ სესიებზე, სამარცხვინო როლი იმ საქმეში, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა არ დაუშვან მის კანონიერად კუთვნილ ადგილზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, იკისრა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ლოჯმა არ შეიწუხა თავი არგუმენტების გამოსანახავად და განაცხადა, რომ „არასასურველად" მიაჩნია ამ საკითხის განხილვა. უგულებელყო რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში არსებული პროცედურის წესები, ლოჯმა გამოიყენა უხეში დივერსია, რათა არ დაეშვა ამ უმნიშვნელოვანესი ...

... მისწრაფებით გააუმჯობესოს თავისი პოზიციები ამერიკის შეერთებულ შტატებთან შემდგომ გარიგებებში. გენერალური ასამბლეის X სესიაზე ინგლისმა მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის უფლებათა აღდგენის საკითხში იმის სამაგიეროდ, რომ შეერთებულმა შტატებმა მხარი დაუჭირეს ინგლისს კვიპროსის საკითხში. ამჯერად, როგორც ასამბლეის კულუარებში გახდა ცნობილი, ინგლისი დაეთანხმა მხარი დაუჭიროს ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციას ამ საკითხში იმის სამაგიეროდ, რომ ამერიკამ აშკარად დაუჭიროს მხარი ინგლისს ეგვიპტის წინააღმდეგ ინგლის-საფრანგეთის აგრესიის საკითხში.

ინდოეთის წარმომადგენელი კრიშნა მენონი რამდენჯერმე გამოვიდა იმ დელეგატებისათ- ...

... ვიპტმა და დანიამ. სალვადორის დელეგატმა თავი შეიკავა. ინდოეთის წინადადებას კენჭი არ უყარეს.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ვ. ვ. კუზნეცოვმა განაცხადა, რომ ამერიკის რეზოლუციისათვის კენჭისყრა ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროცედურის წესებსა და წესდებას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა სუვერენული უფლებების უხეში დარღვევაა. ამიტომ, თქვა მან, საბჭოთა დელეგაციას ეს რეზოლუცია უკანონოდ მიაჩნია.

ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმაც განაცხადა, რომ მიღებული რეზოლუცია უკანონოდ მიაჩნია.

სხდომის ბოლოს კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია ასამბლეის დღის წესრიგის პუნქტების კომიტეტებში განაწილების შესახებ.

## საპარლამენტთაშორისო კავშირის საბჭოს სხდომაზე

ბანგკოკი, 14 ნოემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიმართა საპარლამენტთაშორისო კავშირის საბჭოს სხდომა.

საბჭომ გადაწყვიტა საპარლამენტთაშორისო კავშირის კონფერენციის განსახილველად გამოიტანოს რეზოლუციის პროექტი, რომელიც სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფმა წარადგინა განიარაღების საკითხზე. რეზოლუციის პროექტში ნათქვამია: „საპარლამენტთაშორისო კავშირის 45-ე კონფერენცია, რომელსაც მსოფლიოს ყველა ქვეყნის პარლამენტების წმიდა მოვალეობად მიაჩნია იბრძოლონ გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, სამხედრო ხარჯებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებისათვის, არ დაელოდონ სანამ მიღწეული იქნებოდეს საყოველთაო შეთანხმება განიარაღების შესახებ, მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს პარლამენტებს: ა) განახორციელონ ქვედითი ღონისძიებანი გამალებული შე- ...

## დაიწყო წიგნის ერთთვიური




... არა მარტო ქართულ და რუსულ ენებზე, არამედ გერმანულ, ბულგარულ, ჩეხურ, ჩინურ ენებზეც.

დიდი მოთხოვნილება იყო გუშინ „სკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში" I-II-III ნაწილებზე. დიდი რაოდენობით გაიყიდა აგ- ...

... მწერლებთან და პოეტებთან, გაიმართება აგრეთვე მკითხველთა კონფერენციები.

* * *

სურათზე: „საქწიგნის" № 5 მაღაზიის გამყიდველი ნ. ხუციშვილი მყიდველებს ურჩევს წიგნებს.

ფოტო შ. გოქაძისა.

## ალბანეთის სახალხო კრების სესია

... სახალხო კრებამ დაამტკიცა სესიის დღის წესრიგი:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა მსოფლიოს ყველა ქვეყნის პარლამენტებისადმი განიარაღების შესახებ;

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მეჰმეტ შეხუს მოხსენება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის ყოფნის შესახებ.

პირველ საკითხზე გამოვიდა სახალხო კრების საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი ფადილ პაჩრამი. სახალხო კრებამ კამათის შემდეგ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც იწონებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვას.

შემდეგ სესიამ მოიწონა მეჰმეტ შეხუს მოხსენება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის ყოფნის შესახებ.

## დამთავრდა ინდოეთის, ინდონეზიის, ბირმისა და ცეილონის პრემიერ-მინისტრების თათბირი

დელი, 14 ნოემბერი. (საკდესი). როგორც პრეს ტრასტ ოფ ინდიას სააგენტო იუწყება, დღეს დამთავრდა ბირმის, ცეილონის, ინდონეზიისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრების თათბირი. პრემიერ-მინისტრებმა გააკეთეს ერთობლივი განცხადება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია, რომ ისინი „არ იწონებენ რაიმე პირობის წამოყენებას ეგვიპტიდან ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის აგრესიული ძალების გამოსაყვანად".

განცხადებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, ...

... ძალები გაყვანილ იქნან ეგვიპტის ტერიტორიიდან.

„გაერთიანებული ერების ამ რეზოლუციების შესრულებისა და უცხოელთა შეიარაღებული ძალების გაყვანის ყოველი დაყოვნება, — აღნიშნეს მათ, — გამოიწვევს შემდგომ გართულებებს და ახლანდელი სერიოზული მდგომარეობის გამწვავებას".

## ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიაში

ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრების საერთო კრებაზე შედგა ნამდვილ წევრ-აკადემიკოსებისა და წევრ-კორესპონდენტების არჩევნები.

მიწათმოქმედების განყოფილების დარგში ნამდვილ წევრ-აკადემიკოსად სხვებთან ერთად არჩეულ იქნა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ქსენია ერმალოზის ასული ბახტაძე.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის დარგში წევრ-კორესპონდენტად არჩეულია ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი გიორგი იაკობის-ძე შხვაცაბაია.

## უკანასკნელი მატჩის წინ

„ბ" კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების ასპარეზობა დასასრულს უახლოვდება.

პირველ ზონაში გასამართავი დარჩა მხოლოდ სამი მატჩი. წინ არიან ტაგანროგის „ტორპედო", მინსკის „სპარტაკი" და ზაპოროჟიეს „მეტალურგი", რომლებსაც ორმოცდაექვს-ორმოცდაექვსი ქულა აქვთ. „ტორპედომ" და „მეტალურგმა" ჩემპიონატის მატჩები დაამთავრეს. მინსკის „სპარტაკს" დარჩა ერთი თამაში. ამ შეხვედრის მოგების ან ფრედ დამთავრების შემთხვევაში მინსკის „სპარტაკი" „ბ"-დან „ა" კლასში გადავა.

... უახლოეს მეტოქეს ერევნის „სპარტაკს" 10 ქულით უსწრებენ.

თუ „კრილია სოვეტოვისა" და თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდები უკანასკნელ 34-ე მატჩს მოიგებენ, მათ შორის გამარჯვებულის გამოსავლინებლად მოეწყობა დამატებითი შეხვედრა. ეს ასპარეზობა გაიმართება ტაშკენტში 25 ნოემბერს.

## საქართველოს თასის ფინალი

დამთავრდა საქართველოს 1956 წლის თასის გათამაშება ფეხბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე კოლექტივებმა.

ასპარეზობაში უძლიერესი აღმოჩნდნენ თბილისის „ლოკომოტივისა" და ბათუმის „დინამოს" გუნდები, რომლებიც ფინალში გავიდნენ.

თბილისის „დინამოს" სტადიონზე მოეწყო ბათუმის „დინამოსა" და თბილისის „ლოკომოტივის" გუნდების შეხვედრა.

პირველი ტაიმი დამთავრდა თბილისელთა ...

ამრიგად, თბილისის ლოკომოტიველებმა გაიმარჯვეს საქართველოს თასის გათამაშებაში. მათ საზეიმოდ გადაეცათ გარდამავალი ჯილდო — თასი.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

## საუდის არაბეთის თავდაცვის მინისტრის განკარგულება

დამასკო, 15 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ჯიდიდან იუწყებიან, საუდის არაბეთის თავდაცვის მინისტრმა გასცა ბრძანება, რომ მთელ საუდის არაბეთში შეიქმნას მოხალისეთა სამხედრო მომზადების პუნქტები. აგრეთვე გამოცხადდა, რომ დაიწყო მოხალისეთა რეგისტრაცია, რომელთაც სურთ გაიარონ სამხედრო მომზადება.

## პრეზიდენტ ეიზენჰაუერის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 14 ნოემბერი. (საკდესი). პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა ხელახლა არჩევის შემდეგ თავის პირველ პრეს-კონფერენციაზე აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები შუა აღმოსავლეთის კრიზისის მოგვარების საქმეში კვლავაც უწინარეს ყოვლისა დაეყრდნობიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. მან განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ახლა ისეთი არაფერი არ უნდა გააკეთონ, რასაც შეუძლია დააყოვნოს ჰამარშელდის მოლაპარაკება ან რაიმე სა- ...

... ჰაუერმა თქვა, ამერიკის შეერთებული შტატები იმის წინააღმდეგი არიან, რომ შუა აღმოსავლეთში გაიგზავნონ რაიმე შეიარაღებული ძალები, მაგრამ არ მიიღებენ ცალმხრივ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ ასეთ მოქმედებას, არამედ უფრო იმას დაუჭერენ მხარს, რომ გადაწყვეტილება გამოიტანოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ.

პრეზიდენტმა აგრეთვე თქვა, რომ ამჟამად არ არის დასავლეთის დიდი სამეულის შე- ...

... საფრანგეთის ჯარებმა მოკლეს 85 ალჟირელი. ქალაქ ტენესის რაიონში ალჟირელებმა მოაწყეს საფარი, რომელსაც წააწყდა საფრანგეთის სამხედრო რაზმი. შეტაკების დროს მოკლულ იქნა 11 ფრანგი ჯარისკაცი და ერთი ოფიცერი. გაზეთები წერენ, რომ ორანის დეპარტამენტის ყველა გზაზე ევროპელების კუთვნილ ავტომანქანებს ცეცხლს უშენენ.

## სამხრეთ კორეაში ახალი პოლიტიკური პარტია შეიქმნა

ფხენიანი, 14 ნოემბერი. (საკდესი). როგორც სეულიდან იუწყებიან, სამხრეთ კორეაში შეიქმნა ახალი პოლიტიკური პარტია, რომელიც გამოდის „სამხრეთ კორეაში გაბატონებული პოლიტიკური სისტემის" წინააღმდეგ. 10 ნოემბერს გაიმართა ამ პარტიის დამფუძნებელი ყრილობა. ყრილობამ მიიღო პარტიის დეკლარაცია და საქმიანობის პროგრამა, რომლებიც შეიცავენ ისეთ მოთხოვნებს, როგორიც არის კორეის მშვიდობიანი გაერთიანება და გეგმიანი ეკონომიკის დაწესება.

## საქართველოს რადიოს გადაცემათა პროგრამა 17 ნოემბრისათვის

### პირველი პროგრამით

რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღებზე, აგრეთვე თბილისის საქალაქო ქსელით

06.30 — უვერტიურები, 07.35—„პიონერთა დაფიონი", 08.20 — საბჭოთა სიმღერები, 12.15 — რუსული კამერული მუსიკა, 12.45 — ქართველ კომპოზიტორთა პიესები ვიოლონჩელისათვის, 17.20 — ნაწყვეტები შალვა თაქთაქიშვილის ბალეტ „მალთაყვიდან", 18.15 — ლიტერატურული გადაცემა, შედგენილი მოსწავლეთა თხოვნით, 19.20 — კონცერტი რადიომსმენელთა დაკვეთით, 20.30 — ქართული ხალხური სიმღერები.

რადიოსადგურით 1571 მეტრ ტალღაზე და თბილისის საქალაქო ქსელით

21.00 — რადიოჟურნალი ახალგაზრდობისათვის, 22.00 — საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა მუსიკის კონცერტი.

## დღეს თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ლაკმე, რუსთაველის სახელობის — ოიდიპოს მეფე, მარჯანიშვილის სახელობის — მეფე ერეკლე, გრიბოედოვის სახელობის — პროკურორის ქალიშვილი, სომხური დრამის — სამეული, მუსიკალური კომედიის — სამი პატარძალი, მოზარდ მაყურებელთა ქართული — ოჯახი (აბონემენტი № 16, 6 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — მაშენკა (5 ს.), თოჯინების ქართული — ჭკუა და გამოცდილება (10 ს.), ხაფანგში (2 ს.).

### კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი — სოფიო კოვალევსკაია, ოქტომბერი, თბილისი, იასანი, კიროვის სახელობის პარკი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი — გაზაფხული ზარეჩნაიას ქუჩაზე, კომკავშირელი, სპარტაკი — ბორანი, 26 კომისრის სახელობის, დიდუბე — „მართლმსაჯულება", კომუნარების ბაღი, მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი — მემკვიდ- ...

მოქალაქე ალექსანდრე მიხეილის-ძე მერუმოვმა, მცხოვრებმა პუშკინის ქ. № 21, აღძრა საქმე ძერჟინსკის ქ. № 22 მცხოვრებ მოქალაქე რაისა ალექსანდრეს ასულ ფილიპოვასთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლო.

შვილები ალექსანდრე, კლიმენტი, გრიგოლ, პარმენ, გიორგი ოჯახებით იუწყებიან

მინა დიმიტრის ასულ ურიდიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-XI ქ. სოხუმში, გამოსვენება ბინიდან, ბესლეთის გზატკეცილი № 95.

მშობლები ნადია, გიორგი, ძმები ნაპოლეონ ოჯახით, სოსლან კოკოევები იუწყებიან

იური გიორგის-ძე კოკოევის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17-XI, 7 ს. გამოსვენება 18-XI, 1 ს. ბრძოლის ქ. № 41.

მეუღლე გუგული, შვილი ნანი, დედა ნადია, და თამარ, ძმა მურად იუწყებიან

შუქური ბათუს-ძე ქოიავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17-XI, 7 ს. გამოსვენება 18-XI, 4 ს. ზაქრაძის ქ. № 25 (ლენინის რაიონი).

თამარ, ელენე, იასია, ნიკოლოზ აბულაძეები, ანა, ლიპარიტ კობახიძეები, ლეილა, ლადო ბარათაშვილები ოჯახებით იუწყებიან

იოსებ გიორგის-ძე გურამიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16-XI, 8 ს. გამოსვენება 17-XI, 4 ს. ბელინსკის ქ. № 9.

მეუღლე ვალიდა, შვილები რევაზ, ნანული, ჰამლეტ, დები მაგდანა, ვერა, სიძე გ. ხუციშვილი ოჯახებით იუწყებიან

გრიგოლ ტარიელის-ძე სალაყაიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-XI, 5 ს. სოფელ ჩხენიშში (სამტრედიის რ.).

ევგენია მიხეილის ასულ მომცემლიძე-მდივნიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-XI ქ. ქუთაისში, გამოსვენება ბინიდან, გოგებაშვილის ქ. № 10.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეები — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90 სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-64 42 გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 06353 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.